გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
**ოთხშაბათი, 11 მაისი, 2005 წელი.**
№111 (5144)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◎ პრესკონფერენცია

## ჯორჯ ბუში: თქვენი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი სერიოზული მოკავშირეა





**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტის მეორე დღე ქვეყნის პარლამენტში მისვლით დაიწყო. ზუსტად 9 საათზე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ეზოში შემოვიდნენ ჯორჯ ბუში მეუღლითურთ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, ამერიკული დელეგაციის წევრები.**

პრეზიდენტ ბუშს და მის მეუღლეს ლორა ბუშს შეეგებნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი მეუღლე სანდრა რულოვსი.

საპატიო სტუმარს საზეიმო დახვედრა მოუწყვეს. მას დახვდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეები, მინისტრები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

აჟღერდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები. ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ჩაუარეს საპატიო ყარაულს. ჯორჯ ბუში გულითადად მიესალმა შეკრებილ საზოგადოებას.

დახვედრის საზეიმო ცერემონიის დასრულების შემდეგ ჯორჯ ბუში და მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის შენობაში შევიდნენ. საპრეზიდენტო ფლიგელში გაიმართა ორი ქვეყნის პრეზიდენტების პირისპირ საუბარი.

შემდეგ ჯორჯ ბუში და მიხეილ სააკაშვილი შეხვდნენ მასმედიის წარმომადგენლებს, რომელიც დაახლოებით 20 წუთს გაგრძელდა.

ბუნებრივია, ამ პრესკონფერენციაზე ქართველ ჟურნალისტთა ინტერესის საგანს წარმოადგენდა საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების, რეგიონში კონფლიქტების გადაჭრის საკითხები.

**— საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში 150 ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შესახვედრად, — აღნიშნა თავის გამოსვლაში მიხეილ სააკაშვილმა. — გუშინ ადამიანთა ჯგუფები აეროპორტის მთელი გზის გასწვრივ იდგნენ და ეს არ არის ჩრდილოეთ კორეა, თქვენ ვერ მოატყუებთ ხალხს, რომ გავიდნენ ქუჩებში და ვინმეს მიესალმონ. დამიჯერეთ, ეს ყველაფერი გულწრფელი, მეგობრული დამოკიდებულების გამოხატულება იყო. ჩემთვის ეს ძალიან ემოციური მომენტი გახლდათ.**

**18 თვის წინათ ასევე ასიათასობით ადამიანი დემოკრატიის დასაცავად გამოვიდა ქუჩებში იმ იმედით, რომ ისინი თავისუფალ ქვეყანაში იცხოვრებდნენ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არც ერთი ქვეყანა არ დადგა საქართველოსთან ისე ახლოს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები. ეს გახლავთ ეკონომიკურ, უსაფრთხოების სფეროში, სხვადასხვა სფეროში დახმარება.**

**საქართველოს მოსახლეობა მუდამ მადლობელი იქნება. ჩვენი პარტნიორობა საქართველოსა და ამერიკას შორის — ეს არის უფრო მაღალი, ვიდრე ნავთობსადენისა და ეკონომიკური საკითხები, ვიდრე სამხედრო თანამშრომლობა. ეს არის საერთო ღირებულებები. ჩვენი საერთო ღირებულებები კი არის რწმენა, დემოკრატია და თავისუფლება. პრეზიდენტი ბუში გახლავთ ის ადამიანი, რომელიც აბსოლუტურად დარწმუნებულია იმაში, რომ დემოკრატიისა და თავისუფლების ძალები დაამარცხებენ ტირანიას. ჩვენ შევთანხმდით იმაზე, რომ ჩვენ ვერ მოვისვენებთ, სანამ ტირანია არსებობს. ჩვენ დავამარცხებთ იმ ადამიანებს, ვინც ცდილობს, რომ დემოკრატიას პრობლემები შეუქმნას. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ბრძოლა ეფექტიანი იქნება.**

**ამის გამოა, რომ საქართველოს სამხედრო მოსამსახურეები ამერიკელთა გვერდიგვერდ არიან განლაგებული ერაყში, რათა დაითრგუნოს ის ძალები, რომლებიც სპეციალიზებული არიან მხოლოდ მკვლელობებზე, ადამიანთა გატაცებაზე, ტერორისტულ აფეთქებებზე და ასე შემდეგ. ამიტომ ჩვენ ვაფასებთ ამერიკელთა დახმარებას, რასაც ჰქვია ჩვენი მისწრაფებები ნატოში გასაწევრებლად და ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ამერიკამ, ისევე როგორც საქართველოს, უკრაინასაც დაუჭირა მხარი. ჩვენ ვაფასებთ ამერიკის მხარდაჭერას იმასთან დაკავშირებით, რასაც ჰქვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ მშვიდობიანი გზით გადავწყვეტთ ძალზე მტკივნეულ კონფლიქტებს სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მიმართებაში. ჩვენ გავაფართოებთ დემოკრატიული რეფორმების სისტემას, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების პირობები. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შეგვიძლია ამერიკის დახმარების იმედი გვქონდეს ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტაში.**

**ბატონო პრეზიდენტო! თქვენ ხართ მტკიცე ნებისა და შორსმჭვრეტელი ლიდერი. საქართველოს ხალხი ძალზე მოხარულია, რომ ეწვიეთ პატარა ქვეყანას, მაგრამ ბრწყინვალე სახელმწიფოს, ბრწყინვალე საქართველოს მიწას და თქვენ ხართ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძვირფასი სტუმარი.**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დიდი მადლობა მოახსენა თავის ქართველ კოლეგას სტუმართმოყვარეობისათვის და აღნიშნა, რომ გუშინ ძალიან კარგი დრო გაატარა. მისი თქმით, იგი მიხვდა, თუ რას ნიშნავს ის, როცა ქართველები საჭმელს გთავაზობენ — მე ჯერ უნდა მევახშმა და მერე მეცეკვა, — იხუმრა ჯორჯ ბუშმა და შემდეგ აღნიშნა:

იხ. მე-4 გვ.

◎ დღე

## მეტისმეტი მონდომება? რატომაც არა!

 გინდ ასე თქვი, გინდ — ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტი უბრალოდ ერთ პატარა ქვეყანაში სუპერსახელმწიფოს მეთაურის სტუმრობა არ იყო.

უფრო მეტი იყო!

ამ პატარა სახელმწიფოს მიერ თავისი პოლიტიკური კურსის დასავლეთისკენ ერთხელ და სამუდამოდ შებრუნების ნიშანსვეტი იყო. იმის ხაზგასმაც იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარში უდგას საქართველოს ამ ახალი კურსით სვლაში.

პრეზიდენტ ბუშს ვუჩვენეთ, თუ რას წარმოადგენს ქართული კულტურა, ვინ არის ქართველი ხალხი. ეს გაკეთდა ლამაზად, მოზომილად, ტაქტით და მოხიბლა სტუმარი.

და მან ამ ცოცხალი, ელვარე წარმოდგენისთვის დიდი მადლობა უთხრა საქართველოს პრეზიდენტს და ქართველ ხალხს.

ბატონი ბუშის წასვლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა თავის მხრივ მადლობა გადაუხადა შეხვედრის მხატვრული ნაწილის ორგანიზატორებს. ისინი კი კონცერტის მონაწილეებსა და ხალხს უხდიან მადლობას, რომ ყველაფერი მაღალორგანიზებულად, უექსცესოდ და მარადჟამს სახსოვრად მოეწყო.

ახლა კი ჩვენ, ჟურნალისტები, გამოვხატავთ ხალხის გულისთქმას და ხალხის სახელით მადლობას მოვახსენებთ მხატვრულ ხელმძღვანელებს ყველაფრისთვის. მადლობა, რომ საშუალება მოგვცეს კიდევ ერთხელ წარმოგვეჩინა ჩვენი მეობა და გვეზეიმა ეს მოვლენა — ჩვენი მეობის წარმოჩენა.

რამდენი კაციც არის, იმდენი აზრიაო, ნათქვამია. ამიტომ საკვირველი როდია, რომ არიან პოლიტიკოსები, რომლებიც კრიტიკულად აღიქვამენ იმას, რაც მოხდა.

ოღონდ: ჩვენ ქართველები ვართ და მყარად ვიცით, განსაკუთრებულ სტუმარს განსაკუთრებული დახვედრა უნდა.

რაც შეეხება „მეტისმეტ მონდომებას“, ბატონი ბუში სწორედ იმ რანგის სტუმარი იყო, რომლის დასახვედრადაც მართლაც მეტისმეტად უნდა მოგვენდომა.

რატომაც არა!

**„საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები.**





# მიხეილ სააკაშვილი: დღეს ჩვენ ერთად ვწერთ ახალი საქართველოს ისტორიას

**თავისუფლებისა და დემოკრატიის ზეიმი — ასე ეწოდა თბილისის ცენტრში — თავისუფლების მოედანზე 10 მაისს გამართულ ღონისძიებას. აქ შეიკრიბა 150 ათასზე მეტი ადამიანი, რათა მისალმებოდა მსოფლიოს ზესახელმწიფოს ლიდერს, გამოჩენილ პიროვნებას, ამერიკის შეერთებული შტატების 43-ე პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს.**




თავისუფლების მოედანზე მოწყობილ დიდ სცენაზე ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, მომღერლებმა და მოცეკვავეებმა საპატიო სტუმრის პატივსაცემად დილიდანვე გრანდიოზული კონცერტი წარმოადგინეს.

უკვე ნაშუადღევს აქ მოვიდნენ ჯორჯ ბუში მეუღლითურთ, მიხეილ სააკაშვილი მეუღლითურთ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, დიპლომატები, ამერიკის დელეგაციის წევრები.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიმართა საქართველოს მოსახლეობას:

— ჩემო ძვირფასებო, ჩემო თანამემამულენო, დღეს ჩვენ ერთად ვწერთ ახალი საქართველოს ისტორიას. ჩვენი ქალაქის კედლებს ძალიან ბევრი რამ ახსოვთ. ჩვენი ამაყი, ჩვენი უსაზღვროდ ლამაზი სამშობლო საუკუნეების განმავლობაში იყო მრავალი დამპყრობლის სათარეშო სარბიელი. არ დარჩენილა მსოფლიოში არც ერთი იმპერია, რომელსაც არ მოეტანა აქ სისხლი, ნგრევა, მცდელობა ქართველი ერის განადგურებისა. ამ კედლებს ახსოვთ რომაელები, ბიზანტიელები, ოსმალები, სპარსელები, მონღოლები, რუსები. ვერავინ ვერ გაგვანადგურა, ჩვენ დღესაც ამაყად ვდგავართ თავისუფლები.

ჩვენი ისტორიის განმავლობაში არაერთი დიდი სახელმწიფოს ლიდერი ჩამოსულა. ჩამოსულა როგორც დამპყრობელი, ჩამოსულა როგორც დამმონებელი, ჩამოსულა იმისთვის, რათა კიდევ მეტად დაენგრია, კიდევ მეტად დაემცირებინა, კიდევ მეტი შეურაცხყოფა მიეყენებინა ჩვენი ერისთვის. მათი აქ ჩამოსვლა იყო მხოლოდ სისხლის და ნგრევის მომტანი. დღეს, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ჩვენს გვერდით, თქვენს წინაშე დგას სახელმწიფოს ლიდერი, რომელიც არის მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო და დგას როგორც მეგობარი, როგორც პარტნიორი, როგორც მოკავშირე, როგორც თანამებრძოლი, როგორც ადამიანი, ვისი ჩამოსვლაც გვახარებს თითოეულ ჩვენგანს და ვისთან მისალმებაც საამაყოა ჩემთვის, როგორც ქვეყნის პრეზიდენტისთვის. მოგესალმებით, ბატონო პრეზიდენტო!

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ იყავით რამდენიმე დღის წინათ ჰოლანდიაში, რათა მოგენახულებინათ ამერიკელი ჯარისკაცების სასაფლაო. თქვენამდე ორი დღით ადრე მე ვიყავი ტექსელზე, იგივე ჰოლანდიაში. ძალიან ბევრმა არ იცის მსოფლიოში, რომ მეორე მსოფლიო ომის ბოლო ბრძოლა, ბოლო ომი ევროპაში ქართველებმა იბრძოლეს და 620 მათგანი გმირულად დაეცა ევროპისა და მთელი მსოფლიოს თავისუფლებისთვის და ისინი გამოვიდნენ გამარჯვებული. ჩვენმა ხალხმა შესაძლებელზე მეტი გააკეთა ევროპის გათავისუფლებისთვის. ჩვენი ფილოსოფოსი, მოაზროვნე და სასულიერო მოღვაწე გრიგოლ ფერაძე, რომელიც გაექცა ბოლშევიკებს პოლონეთში, ჩასვეს ოსვენციმში იმის გამო, რომ იცავდა ებრაელ ბავშვებს დაპატიმრებისაგან. იგი ებრაელი ბავშვის ნაცვლად შევიდა გაზის კამერაში და დაიღუპა გმირულად ამ ბავშვის და მთელი ევროპის თავისუფლებისთვის. დაბოლოს, შეიძლება ამ დღეებში ამის შესახებ ბევრს არ გახსენებია სხვაგან, რაიხსტაგზე, ჰიტლერის რაიხსტაგზე დროშა აღმართა ქართველმა მელიტონ ქანთარიამ, ქართველმა, ჩვენმა თანამემამულემ, ამით ჩვენ ძალიან ვამაყობთ.

ქართველები ყველგან ვიბრძოდით თავისუფლებისთვის, მაგრამ საქართველოს ამ ბრძოლების შედეგად თავისუფლება არ მოუპოვებია. თუმცა, ჩვენ აქ არ შევკრებილვართ წარსულზე სასაუბროდ. დღეს ჯორჯ ბუშის აქ ყოფნა არის დასტური იმისა, თუ რა შეუძლია ერთიანობას, რა შეუძლია თავისუფლებისთვის ერთიან სწრაფვას, ჩვენს ერთსულოვნებას, ჩვენს ერთ მუშტად შეკრულ ხელისუფლებას. პირველად საქართველოს ჰყავს მთავრობა, რომელიც უსმენს ხალხს, ნაცვლად იმისა, რომ კარნახობდეს მას თავის ნებას. ეს არის მთავრობა, რომელიც პატივს სცემს ხალხის აზრს. ეს არის მთავრობა, რომელიც ემსახურება ხალხს იმის ნაცვლად, რომ ძარცვავდეს და აჩანაგებდეს მას. რაც მთავარია, ეს არის მთავრობა, რომელიც ანგარიშვალდებულია თითოეული თქვენგანის წინაშე, სრულად აქვს გაცნობიერებული პასუხისმგებლობა ჩვენი შვილების მომავლის წინაშე. უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში ჩაბარდა წარსულს დრო, როცა ჩვენი ახალგაზრდები მიდიოდნენ საქართველოდან იმიტომ, რომ აქ არანაირი პერსპექტივა არ იყო. შარშანდელი წელი იყო პირველი, როცა მეტი ქართველი დაბრუნდა საქართველოში, ვიდრე გავიდა ქვეყნიდან. წარმატებული ქართველები ბრუნდებიან თავისი ქვეყნის დასახმარებლად, თავისი სამშობლოს ასაღორძინებლად. წარსულს ჩაბარდა დრო, როცა კორუმპირებული, გაზულუქებული მოხელეები სისხლს სწოვდნენ ჩვენს ხალხს, წარსულს ჩაბარდა აჭარაში ტირანიის დრო, ადამიანის უფლებების დარღვევის დრო. წარსულს ჩაბარდა დრო, როცა ჩვენ ვცხოვრობდით სახელმწიფოში, რომელსაც არ შეეძლო დაეცვა თავისი თავი, ჰქონოდა საკუთარი საზღვრები, არ შეეძლო დაეცვა საკუთარი ხალხი. მაგრამ მე მინდა გითხრათ ერთი რამ: ყველას ერთად გვაკისრია პასუხისმგებლობა ჩვენი სამშობლოს წინაშე. ყველას ერთად გვაქვს პასუხისმგებლობა მთელ მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელებაზე, დაწყებული ბელორუსიიდან, რომელიც იმსახურებს თავისუფლებას. ჩვენ ვიდექით უკრაინელი ხალხის გვერდზე, ჩვენ ვიდექით სხვა ხალხების გვერდზე დაწყებული ჩრდილოეთ კორეიდან, კუბიდან და ეს არის დემოკრატიის მხარდაჭერა. საქართველო იქნება ამერიკის პარტნიორი ყოფილ საბჭოთა სივრცეში და ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის გავრცელების საქმეში. ეს არის ჩვენი შემოთავაზება თქვენთვის, ბატონო პრეზიდენტო.

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ვიზიარებთ თქვენს რწმენას, რომ დემოკრატიული ცვლილებების ნაყოფი აღმოცენდება ახლო აღმოსავლეთში. ნიშნად იმისა, რომ ერაყშიც იქნება დემოკრატია, ერაყში თითზე მელანწასმული ხალხი ისეთივე ამაღელვებელი საყურებელია, როგორც ვარდებით ხელში გამოსული ხალხი. მინდა, მივესალმო იმ ქართველებს, რომლებიც ამერიკელების გვერდით მხარდამხარ მსახურობენ ერაყში. ისინი აქ არიან წარმოდგენილი და მინდა ყველა ერთად მივესალმოთ ჩვენს თანამემამულეებს, რომლითაც ჩვენ ძალიან ვამაყობთ.

ჩვენ — ქართველები სიამაყით გეუბნებით თქვენ — ამერიკელებს, ჩვენ მუდმივად თქვენს გვერდით ვიქნებით თავისუფლებისთვის, დემოკრატიისთვის და უსაფრთხოებისთვის ბრძოლის საქმეში. საქართველოს ყველა ეთნიკური კულტურა არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სიძლიერე. დღეს ჩვენ მთელი მსოფლიოს დასანახად კიდევ ერთხელ ვუწვდით ძმობის, მეგობრობის ხელს ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს და დებს. ჩვენ არ გვინდა ომი, ჩვენ გვინდა მშვიდობა ერთიანი საქართველოს ფარგლებში. მათთან ერთად მინდა მათი ღირსების, მათი იდენტურობის დაცვა და ერთად ბრძოლა ჩვენი ქვეყნისთვის.

მე მინდა მივმართო ამერიკას, დღეს მთელი მსოფლიო გვიყურებს და მთელი მსოფლიოს გასაგონად გითხრათ: როცა 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლობა ახალი მოპოვებული ჰქონდა და როცა ხალხს შიოდა, პური ამერიკული ხორბლისგან ცხვებოდა, რომელსაც ამერიკა უსასყიდლოდ გვაძლევდა. მინდა მადლობა გითხრათ, ბატონო პრეზიდენტო, მაშინ ამ დახმარებისთვის.

როცა სამი წლის წინათ საქართველოს ტერიტორია დაიბომბა, ჩვენი მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპა, ამერიკა იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც აიმაღლა ხმა საქართველოს დასაცავად და უთხრა ყველა ჩვენს მეზობელს, რომ წითელი ხაზი გადის კავკასიის ქედზე და ამის აქეთ არავის არაფერი ესაქმება, ეს არის დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა. მინდა მადლობა გითხრათ ამისთვის.

როდესაც ჩვენ ყველანი ერთად გამოვედით ამ მოედანზე ჩვენი თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად, ამერიკა იყო პირველი ქვეყანა, ვინც გვერდზე დაუდგა ქართველებს თავისუფლებისთვის ბრძოლის საქმეში. მინდა მადლობა გითხრათ ამისათვის, ბატონო პრეზიდენტო.

საქართველოსთვის ჯერ კიდევ ძალიან მნიშვნელოვანია ამერიკის დახმარება. „ვარდების რევოლუციის" წარმატების მიუხედავად, საქართველოში არის მხარეები, სადაც ადამიანებს წართმეული აქვთ თავისუფლება. ჩვენ უნდა დავამთავროთ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ჩვენ მოქალაქეთა იზოლაციაში ყოფნა. მივცეთ მათ თანაბარი შესაძლებლობა განვითარდნენ თავისუფლების, დემოკრატიისა და ერთიანობის პირობებში.

დღეს ამერიკის პრეზიდენტმა, როგორც არც ერთი სხვა სახელმწიფოს ლიდერმა ხმამაღლა, კიდევ ერთხელ მთელი მსოფლიოს გასაგონად თქვა, რომ საქართველო იქნება ერთიანი და ამერიკა დაიცავს საქართველოს ერთიანობას და მთლიანობას. ჩვენ გვჭირდება უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები ჩვენი დემოკრატიის, ჩვენი თავისუფლების შესანარჩუნებლად. ამისათვის ქართველმა ხალხმა მყარად თქვა, რომ საქართველო უნდა გახდეს ნატოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. პრეზიდენტმა ბუშმა კიდევ ერთხელ გამოხატა ღია მხარდაჭერა საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ჩვენ კიდევ გრძელი გზა უნდა ვიაროთ დემოკრატიული რეფორმების კუთხით, ჩვენ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, მაგრამ, ბატონო პრეზიდენტო, გასულ ზამთარს, ეს იყო პირველი ზამთარი ჩვენი დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, მე მქონდა შესაძლებლობა, მესმინა თქვენი მეორე საინაუგურაციო გამოსვლისთვის. მახსოვს თქვენი სიტყვები — „ყველამ, ვინც ცხოვრობს ტირანიაში და უიმედობაში, უნდა იცოდეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ დახუჭავს თვალს თქვენს შევიწროებაზე, არ აპატიებს მათ, ვინც გჩაგრავთ თქვენ. თქვენ, რომლებიც აღდგებით თქვენი თავისუფლებისთვის, ამერიკელები მუდამ დავდგებით თქვენს გვერდით".

იმ საღამოს მე მეგონა, რომ პირადად მე მომმართავდით. ჩვენ ხალხს მომართავდით, ჩვენს თავისუფლებაზე საუბრობდით, ჩვენს წარმატებაზე ლაპარაკობდით, ჩვენს დემოკრატიას იცავდით ისევე, როგორც ყველა მეზობელი ხალხის დემოკრატიას. თქვენ თქვენი სიტყვები დღეს შეასრულეთ. დღეს, მთელი მსოფლიოს დასანახად, ამერიკა, რომელიც ჩვენს გვერდით იდგა რევოლუციის დროს, დღეს დგას მრავალი თბილისელის წინაშე და დღეს აქ არის 150 ათასი ადამიანი და დღეს თქვენ დგახართ ჩვენს გვერდით, როგორც სიტყვის კაცი და როგორც ჩვენი მეგობარი.

მინდა მთელი ერის სახელით მივესალმო მსოფლიოს ლიდერს, რომელსაც როგორც არავის, უდიდესი წვლილი მიუძღვის თავისუფლებისთვის ბრძოლის საქმეში. მივესალმო მას, როგორც ჩვენს დიდ მხარდამჭერს და ჩვენს დიდ მეგობარს, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლს.

გასული წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა დააწესა წმინდა გიორგის ორდენი საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის. ამ პერიოდის განმავლობაში ეს ორდენი არავისთვის გადაგვიცია, თუმცა შარშან არ ვიცოდით, რომ პრეზიდენტი ბუში აქ ჩამოვიდოდა. მე მინდა საქართველოს თავისუფლების განმტკიცებაში, საქართველოს დემოკრატიის განმტკიცებაში, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცესა და ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიისათვის ბრძოლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ამ ახალი ქართული ორდენის პირველ მიმღებად — წმინდა გიორგის ორდენის კავალრად გამოვაცხადო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბატონი ჯორჯ ბუში და თქვენი სახელით გადავცე მას ეს ორდენი.

# ჯორჯ ბუში: ქართულ მიწაზე თქვენ მიერ დათესილი თავისუფლების თესლი მთელ მსოფლიოში ღივდება

## თბილისში თავისუფლების მოედანზე შეკრებილ საქართველოს მოსახლეობას სიტყვით მიმართა ჯორჯ ბუშმა

**— „მეამაყება თქვენი პრეზიდენტის გვერდით დგომა, რომელმაც გამოიჩინა ასეთი სულისკვეთება, გამბედაობა და ლიდერობა თავისუფლებისთვის ბრძოლაში. ლორა და მე ვამაყობთ გაბედული ქართველი ხალხის გვერდით დგომით იმ ადგილას, რომელმაც დაიმსახურა საამაყო სახელი - თავისუფლების მოედანი.**




როცა ქართველები აქ 16 წლის წინათ შეიკრიბნენ, მაშინ ამ მოედანს სხვა სახელი ერქვა. ლენინის ცივი გამოხედვის ქვეშ, ათასობით ქართველი ლოცულობდა, მღეროდა და მოითხოვდა დამოუკიდებლობას. საბჭოთა არმიამ გაჟლიტა საპროტესტო აქციის მონაწილეები, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ქართველი ხალხის სულის განადგურება. მომდევნო წელს ქართველები დაბრუნდნენ ამ მოედანზე და ჩამოაგდეს ლენინის ძეგლი.

1991 წლის 9 აპრილს ქართველებმა მთელ მსოფლიოს გამოუცხადეს საბჭოთა საქართველოს აღარ არსებობა და თავისუფალი საქართველოს დაბადება. იმ ისტორიულ დღეს თქვენ აღიდგინეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ იმედიანი დასაწყისი არ დასრულდა. წელიწადნახევრის წინათ ქართველები დაბრუნდნენ ამ მოედანზე, რათა დაემთავრებინათ ის საქმე, რომელიც 1989 წელს წამოიწყეს. თქვენ შეიკრიბეთ აქ ვარდებით და თქვენი რწმენის ძალით შეიარაღებულებმა მოითხოვეთ თავისუფლება. თქვენი მოქმედების შედეგად საქართველო დღეს დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანაა, რომელიც წარმოადგენს ამ რეგიონში და მთელ მსოფლიოში თავისუფლების მაგალითს.

დამოუკიდებლობის გზა არ არის იოლი, მაგრამ თქვენ არ მოგიწევთ მისი მარტო გავლა. ამერიკელები პატივს სცემენ თქვენ მამაც არჩევანს — თავისუფლების მოპოვების სურვილს. თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს შენებისას ამერიკელი ხალხი თქვენ გვერდითაა. თქვენ აშენებთ თავისუფალ მომავალს თქვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის და თქვენ ეხმარებით სხვა ქვეყნებს იგივეს გაკეთებაში.

როცა ავღანელმა ხალხმა გამოიწვია ტერორისტები და ქვეყნის პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, ქართველი ჯარისკაცები იქ წესრიგის დასაცავად იმყოფებოდნენ. როდესაც ერაყში ტერორისტული ძალადობა მძაფრდებოდა, საქართველომ აჩვენა თავისი გამბედაობა. თქვენ ერაყში ხუთმაგად გაზარდეთ თქვენი ჯარისკაცების რაოდენობა. ერაყელები, ამერიკელები და კოალიციის მოკავშირეები ამისთვის მადლობელი არიან.

თქვენ საკუთარი წვლილი შეგაქვთ თავისუფლებისთვის ბრძოლაში, მაგრამ უმნიშვნელოვანესი წვლილი თქვენი მაგალითია. ბოლო თვეების განმავლობაში მსოფლიო გაოცებულია იმედისმომცემი ცვლილებებით, რომლებიც მიმდინარეობს ბაღდადიდან — ბეირუთამდე, ბეირუთიდან — ბიშკეკამდე. მაგრამ სანამ ერაყში იასამნისფერი რევოლუცია მოხდებოდა, ან ნარინჯისფერი რევოლუცია უკრაინაში, ან კედარის რევოლუცია ლიბანში, მანამდე საქართველოში „ვარდების რევოლუცია" მოხდა.

თავისუფალი საზოგადოების შენება თაობების სამსახურია. ამ ქვეყანაში თავისუფლებისა და სამართლის დასამკვიდრებლად ბრძოლას თითქმის 15 წელიწადი დასჭირდა. წელიწადნახევრის წინათ ამ მოედანზე შეკრებილი სტუდენტები და მოსახლეობის დიდი ნაწილი მეტისმეტად ახალგაზრდები იყვნენ, რათა დაემახსოვრებოდათ 1989 წლის პროტესტი, მაგრამ მათ დაიწყეს თავისუფლებისთვის ბრძოლა და დაასრულეს თავიანთი მშობლების მიერ დაწყებული საქმე.

ცენტრალური აზიისა და შუა აღმოსავლეთის გასწვრივ ჩვენ ვხედავთ იგივე თავისუფლების სურვილს, რომელიც ღვივის ახალგაზრდა ადამიანების გულებში. ისინი თავისუფლებას მოითხოვენ და მოიპოვებენ კიდეც მას.

როგორც თავისუფალ ქვეყნებს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს აქვთ დიდი პასუხისმგებლობა და ჩვენ ერთად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობებს. თავისუფალი საზოგადოება მშვიდობიანი საზოგადოებაა. თავისუფლებაარგანცდილი მილიონობით ადამიანისთვის თავისუფლების მინიჭებით, ჩვენ წინ წავწევთ თავისუფლებისა და მშვიდობის მოპოვების საფუძველს.

თავისუფლებისთვის ამ გლობალურ ბრძოლაში ჩვენი მოვალეობები შინ იწყება, თუმცა მშვიდობიან რევოლუციებს რეპრესიული რეჟიმების ჩამოგდება ძალუძს. ჭეშმარიტ ამოცანას წარმოადგენს თავისუფალი ინსტიტუციების განვითარება. ეს რთული საქმეა და თქვენ ამას ღირსებითა და გამბედაობით უდგებით.

თქვენ რთული ნაბიჯები გადადგით თქვენი ეკონომიკის რეფორმისა და კორუფციის აღმოფხვრისთვის. თქვენ აშენებთ დემოკრატიულ საზოგადოებას, სადაც უმცირესობების უფლებები დაცულია. თავისუფალი პრესა ყვავის. ქვეყანა მიესალმება ძლიერ ოპოზიციას და ერთობა თავისუფლებით მიიღწევა.

ამ ახალ საქართველოში კანონის უზენაესობა გაიმარჯვებს და თავისუფლება ყოველი მოქალაქის უფლება იქნება. ეს იყო თქვენი აწ გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ოცნება, რომელმაც ოდესღაც თქვა: „შემთხვევით არ მომხდარა, რომ ჩვენ ორი ძალზე მნიშვნელოვანი იდეა ავირჩიეთ, როგორც ჩვენი ლოზუნგი - თავისუფლება და პასუხისმგებლობა".

დღეს ჩვენ ქედს ვიხრით ამ უდიდესი ქართველი პატრიოტის წინაშე, რომელიც გახდა გლობალური დემოკრატიული რევოლუციის დიდი ლიდერი. თავისუფალი და პასუხისმგებელი საზოგადოების შენებით, თქვენ მის ხსოვნას მიაგებთ პატივს და აგრძელებთ მის მემკვიდრეობას.

თავისუფალი საზოგადოების შენებით კიდევ უფრო გაღრმავდება ის კავშირები, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს აერთიანებს. ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს სურვილს შეუერთდეს ევროპის ინსტიტუციებს და მხარს ვუჭერთ თქვენს მჭიდრო თანამშრომლობას ნატოსთან.

საქართველოს ლიდერებმა იციან, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება აუცილებელია თქვენი ტრანსატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისთვის. ამავე დროს, საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას ყველა ქვეყანამ უნდა სცეს პატივი.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ისტორიულ ეპოქაში, სადაც თავისუფლება წინ მიიწევს შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ - სპარსეთის ყურეშიც და უფრო შორსაც. როდესაც მთელ მსოფლიოში ვხედავთ თავიანთი ქვეყნების დროშების მოფრიალე თავისუფალი ხალხების შეკრებას, რომლებიც ღმერთის მიერ მინიჭებულ თავიანთ უფლებებს მოითხოვენ, ამ დროს თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ ამ ფაქტით, ეს თქვენი მაგალითითაა გამოწვეული და თქვენი წარმატების მაგალითზე მათ ეძლევათ დიდი იმედი.

თავისუფლების შენებისას თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ქართულ მიწაში თქვენ მიერ დათესილი თავისუფლების თესლი მთელ მსოფლიოში ღივდება.

მე მოვედი, რათა თქვენი გამბედაობისთვის მადლობა გადაგიხადოთ. ამერიკელი ხალხი აფასებს თქვენს მეგობრობას და მოხიბლულია თქვენი სიმტკიცით. ყველა ამერიკელის სახელით გიხდით მადლობას, ღმერთმა დაგლოცოთ!

საქართველოს გაუმარჯოს, — განაცხადა დასასრულ ჯორჯ ბუშმა თავისუფლების მოედანზე გამოსვლისას.





№ 111, ოთხშაბათი, 11 მაისი, 2005 წელი.

# თავისუფლებისა და დემოკრატიის გზაზე საბოლოოდ შემდგარმა საქართველომ სტუმართმოყვარეობისა და სტუმარმასპინძლობის არა მარტო საერთო-ეროვნული, არამედ საერთო-საკაცობრიო გამოცდა ფრიადზე ჩააბარა

## ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბატონი ჯორჯ ბუშის სტუმრობა, თავის უმშვენიერეს მეუღლესთან ერთად, ერთ-ერთ ღირსსახსოვარ ნიშანსვეტად დარჩება XXI საუკუნის საქართველოს ისტორიაში









### ბუშმა თბილისში იცეკვა

**„ბუშმა თბილისში იცეკვა", — ასეთი სათაურით აქვეყნებს „ბი-ბი-სი"-ს ინტერნეტ-საიტი ინფორმაციას აშშ-ის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის პირველი დღის შესახებ.**

როგორც ბრიტანული ტელერადიოკორპორაციის საიტზეა აღნიშნული, ორშაბათ საღამოს აშშ-ის და საქართველოს ლიდერები, მეუღლეებთან ერთად, თბილისის ძველ უბანში, ღია ცის ქვეშ, ხალხური მუსიკისა და ცეკვის კონცერტს დაესწრნენ.

მომღერლებთან და მოცეკვავეებთან ფოტოსურათის გადაღების შემდეგ, პრეზიდენტები ერთ-ერთ ახლომდებარე რესტორანს ეწვივნენ.

„ქართულ ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი მსახიობების გარემოცვაში, ბუშმა მუსიკის ტაქტში თეძოების მოძრაობით ორჯერ იცეკვა", — აღნიშნავს „ბი-ბი-სი".

„ასეთი პრეზიდენტი ბუში, მისი ასეთი გულწრფელი რეაქცია, მოცეკვავე ბუში ჯერ არავის უნახავს", — მოჰყავს სააგენტო „ინტერ-ფაქსს" საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სიტყვები.

სააკაშვილმა ბუშის ვიზიტს „საქართველოს მხარდაჭერის უპრეცედენტო ჟესტი" უწოდა.



### 2005 წლის 9 მაისის საღამო აბანოთუბანში

**რა ისმინა მღერა ყმათა**
**ბუშს თავისი დაემართა,**
**არც აცია, არც აცხელა**
**და სცენისკენ გაემართა.**
**მერე, რაც ქნა, ისიც ვნახეთ —**
**აცეკვდა და ათამაშდა,**
**დატკბა ხიბლით გოგონების,**
**აჰყვა სიჩაუქეს — ვაჟთა.**
**დიდი ქვეყნის მეთაური**
**გასცდა დიპლომატის წესებს,**
**„აბა, რა გეგონა, ძამა,**
**საქართველო არის ესე!"**

**ვილენ მარდალეიშვილი.**

### სააკაშვილმა „მედიაზე დაიწუწუნა"

**ამერიკის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს მიაჩნია, რომ საქართველოში თავისუფალი მედია არსებობს, რადგან მასთან შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილმა „მედიაზე დაიწუწუნა".**

ბუშის შეფასებით, პრეზიდენტ სააკაშვილის „წუწუნი" კარგია, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მედია თავისუფალია. „მეც ვწუწუნებ ხოლმე ჩვენს მასმედიაზე, მაგრამ არა საზოგადოების წინაშე", — დასძინა აშშ-ის პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გულახდილობამ მოხიბლა. ბუშის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტს უყვარს დემოკრატია, თავისუფლება და ქართველი ხალხი.

მისი თქმით, „ვარდების რევოლუცია" იყო ძლიერი მომენტი თანამედროვე ისტორიაში, მან არა მარტო ქართველ ხალხს გაუჩინა თავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრების სურვილი, არამედ მთელს მსოფლიოს. „ქართველ ხალხს მშვიდობა სურს", — აღნიშნა ბუშმა.

### რუსეთი თანამშრომლობისთვის მზად არის

**რუსეთის ხელისუფლება მზად არის საქართველოს მთავრობასთან ითანამშრომლოს და 1999 წლის ეუთოს სტამბოლის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს.**

ამის შესახებ ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოს პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ბუშის განცხადებით, 8-9 მაისს მოსკოვში ვიზიტის დროს, იგი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს ესაუბრა, რომელმაც განაცხადა, რომ რუსულ მხარეს საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობა სურს, რათა ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს. ბუშის თქმით, ამ მიმართულებით, ძალზე ბევრი სამუშაოა შესასრულებელი.












პრესკონფერენცია

# ჯორჯ ბუში: თქვენი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი სერიოზული მოკავშირეა



(პირველი გვერდიდან)

– რაც შეეხება კულტურას, ცეკვებსა და სიმღერებს – ძალიან შთამბეჭდავია. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ასეთი ლამაზი სპექტაკლი დადგეს. ძალზე მოხარული ვარ დღევანდელი ვიზიტით. ძალზე მოხარული ვარ იმით, რომ ბატონი პრეზიდენტი აბსოლუტურად გულწრფელია ჩემთან ურთიერთობაში. რაც მე აღმოვაჩინე, ბატონი პრეზიდენტის პოზიცია ის არის, რომ იგი მხარს უჭერს დემოკრატიას, თავისუფლებას და საქართველოს ხალხის კეთილდღეობას. „ვარდების რევოლუცია“ ძლიერი მომენტი იყო თანამედროვე ისტორიაში, სულისჩამდგმელი მომენტი იყო საქართველოს ხალხისთვის და ყველა ადამიანისთვის, ვისაც თავისუფალ სამყაროში ცხოვრება უნდა. ეს იყო ადამიანების სიმამაცე. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს ხალხი დარწმუნებული იყო, რომ მისი მომავალი თავისუფალ მსოფლიოში იცხოვრებს. მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ დემოკრატიული რეფორმებისათვის, რომლებსაც თქვენ ანხორციელებთ.

მინდა ასევე ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თქვენ ინსტიტუციურ საძირკველს უყრით დემოკრატიას, რომელსაც უკან ვერავინ ვერ შემოაბრუნებს. თქვენ მხარს უჭერთ თავისუფალ მედიას, მხარს უჭერთ კანონის უზენაესობას. როცა მედია, ვთქვათ, რაღაცაზე ჩივის და უკმაყოფილოა, ეს ძალიან კარგი ნიშანია. ზოგჯერ თქვენ ხართ თქვენი მედიით უკმაყოფილო, ზოგჯერ ჩემი მედიით – მე. ასეც ხდება ხოლმე.

მოხარული ვარ, რომ მექნება შესაძლებლობა, შევხვდე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. აშკარად დემოკრატიულია ის საზოგადოება, რომელიც პატივს სცემს უმცირესობათა უფლებებს. საქართველო ეთნიკური თვალსაზრისით ძალზე ჭრელი ქვეყანაა და დემოკრატია მათი ინტერესების დამცველი იქნება.

ნატოსთან დაკავშირებით ჩვენ საკმაოდ სერიოზულად ვისაუბრეთ. ბატონმა პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი მზად არის შეასრულოს ყველა საჭირო მოთხოვნა ნატოში გასაწევრებლად. მე შემიძლია ვთქვა, რომ თქვენი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი სერიოზული მოკავშირეა. ჩვენ გვყავს ტრანსატლანტიკური მეგობრები საქართველოში და ყოველთვის დაგეხმარებით თქვენი მიზნების მისაღწევად. ასევე მინდა საქართველოს ხალხს გადავუხადო მადლობა იმისათვის, რომ მხარი დაუჭირეთ ჯარების გაგზავნას ავღანეთსა და ერაყში. ჩვენ განვიხილეთ ის მოვლენები, რომლებიც ერაყში ვითარდება, ახლო აღმოსავლეთში, ასევე ვისაუბრეთ რეგიონული საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე, რომელიც საქართველოს აწუხებს.

მოხარული ვარ, რომ მექნება საშუალება, ვიმუშაო ბატონ პრეზიდენტთან, თუ იგი მომმართავს ასეთი თხოვნით, მხარი დავუჭირო ისეთი პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

და ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რომელსაც მე ძალზე ვაფასებ: ეს არის ამ საკითხების მშვიდობიანად მოგვარების სურვილი. იმედს გამოვთქვამ, რომ თანამშრომლობის საფუძველზე შეგვიძლია ეს პრობლემები მშვიდობიანად მოვაგვაროთ. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ჩვენი დახმარებით შეუძლია სერიოზულ პროგრესს მიაღწიოს მათი მოგვარების საკითხებში.

მე მივემართები თავისუფლების მოედანზე. ეს, ფაქტობრივად, შეიძლება ჩემი ქვეყნის სავიზიტო ბარათად წარმოვიდგინოთ. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს მხარეს და ვუთხრა: **თქვენ გყავთ მეგობრები ამერიკაში.**





ჯორჯ ბუშმა და მიხეილ სააკაშვილმა უპასუხეს ქართველ და ამერიკელ ჟურნალისტთა შეკითხვებს.

* * *

დღის პირველ ნახევარში ჯორჯ ბუში შეხვდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და საპარლამენტო დეპუტაციას.

შემდეგ გაიმართა შეხვედრა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან.

* * *

**10 მაისს ნაშუადღევს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მეუღლითურთ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, ამერიკული დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრნენ.**

# დიდი პრეზიდენტი, აღტყინებული ხალხი და კურიოზი

ეტყობა, სანახაობას არის დახარბებული ჩვენი ხალხი – ზედახორა გაიმართა.

უჩვეულო, ჯერ არნახული და არგაგონილი ხდებოდა თბილისში – აღთქმულ მიწად დასახული ქვეყნის პრეზიდენტი ჩამოვიდა. მისი ხელის დაქნევის, თბილი მისალმებისა და სიტყვების მოლოდინში თავისუფლების მოედანს დილაადრიანვე მიაწყდა ხალხი.

თითოეული ადამიანის შემოწმებას დიდი დრო მიჰქონდა და რიგი ზოზინით მიიწევდა წინ. ეს კი ქართველებს როდის გვყვარებია. ამიტომაც ჯიქურ გაიწია ხალხმა, ერთმანეთში აითქვიფა დიდი და პატარა. მე, პირადად, ხან ჰაერში მასავსავებინეს ხელ-ფეხი, ხან – ლამის მიწაზე მათრიეს. შემოწმება ვიღას ახსოვდა, ერთი დახუვლება და... თავისუფლების მოედანზე აღმოჩნდა ზღვა ხალხი.

პლაკატები იყო ათასნაირი, ბავშვური გულუბრყვილობით ნახატი და ნაწერი. მაგალითად, ერთ მათგანზე ორი გული იყო გამოსახული (ისე, როგორც ცამეტი წლის გოგო გადაატყუპებს ორ გულს, ერთს თავის სახელს რომ წააწერს, მეორეს კი – შეყვარებულისას). აქეთ-იქიდან კი ჯორჯ ბუშისა და მიხეილ სააკაშვილის მოღიმარი სახეები იყო მიხატული.

ორ გოგონას ქართულ-ამერიკულდროშებიანი პლაკატი ეჭირა, რომელზეც „თბილისი-ნიუ-იორკი“ ეწერა. ალბათ, ყურს ხშირად ხვდებოდა ნიუ-იორკი, ამიტომაც, როგორც ჩანს, სწორედ ეს ქალაქი ჩათვალეს აშშ-ს დედაქალაქად.

ლაფსუსები სხვებსაც გაეპარათ, თუმცა, გუშინ სხვა რამ იყო მთავარი – პათოსი.

– ვამაყობ დღევანდელი დღით. მთელმა მსოფლიომ გაიგო, ასეთ პატარა ქვეყანას უდიდესი ქვეყნის პრეზიდენტი ესტუმრა. თანაც, ჩემი შვილი ამერიკაშია წასული სამუშაოდ, ამიტომაც იმ ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტი ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესოა. შეიძლება, ქართველ ემიგრანტებს რაიმე პრივილეგიაც მიანიჭოს, როცა ნახავს, რა კარგი ხალხია ქართველები და როგორ უყვართ ჯორჯ ბუში, – თქვა ღონისძიებაზე მოსულმა ერთ-ერთმა ქალბატონმა, მედეა მაგრაქველიძემ. საერთო სიხარულს მის გვერდით მდგომი მერი ონიანიც უერთდებოდა – ქართული სტუმართმოყვარეობა უნდა დავანახოთ ბატონ ბუშსო.

მართალია, ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტისთვის თვალის მიდევნება ტელევიზორის საშუალებითაც შეეძლო ყველას, მაგრამ თავისუფლების მოედანზე თაკარა მზის ქვეშ დგომა და ჭყლეტვა არჩიეს. ამ დიდი მოვლენის თანამონაწილენი უნდა ვყოფილიყავითო, – ასე ხსნიდნენ თავიანთ გადაწყვეტილებას.

ძალიან გვიყვარს ჩვენ „დიდი კაცები“, ძალიან... იქნებ მეტისმეტადაც კი.

მოედანზე ძალიან ბევრი ბავშვი ჰყავდათ მოყვანილი ჯორჯ ბუშისთვის თვალის მოსაკრავად.

– იცი, ვინ არის ბუში? – ვეკითხები პატარა გიორგის.

– დიდი პრეზიდენტია.

პრეზიდენტების გამოსვლამდე ლოდინი კონცერტს უნდა შეევსო. ხანგრძლივი კონცერტი გამოვიდა – მართალია, ჩვენი ესტრადის ელიტად მიჩნეული ნაწილი გამოვიდა მხოლოდ, მაგრამ ეს ელიტაც მეტისმეტად მრავალრიცხოვანია ჩვენში.

რაკი ხალხის დიდი ნაწილი გაუკონტროლებლად მოხვდა მოედანზე, ღონისძიების ჩაშლის საფრთხე შეიქმნა. მადლობა ღმერთს, პრეზიდენტებს განრიგი არ შეუცვლიათ.

როგორც კი ამერიკის ჰიმნი გაისმა, ხალხს დაღლილობა გადაავიწყდა. მხურვალე ტაში ააყოლეს ჰიმნს. ქართულთან ერთად უამრავი ამერიკული დროშა ირხეოდა.

მიხეილ სააკაშვილისა და ჯორჯ ბუშის სიტყვებმა აღტაცების ტალღად გადაუარა ხალხს (თუმცა, ტექნიკური ხარვეზის გამო, მთელი რვა წუთის განმავლობაში ბატონი მიხეილ სააკაშვილის ხმა მხოლოდ მასთან ახლოს მდგომ ადამიანებს ესმოდათ).

მიხეილ სააკაშვილმა საპატიო ჯილდო გადასცა სტუმარს. ჯორჯ ბუში წმინდა გიორგის ორდენის პირველი კავალერი გახდა.

ისევ აჟღერდა ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნი, მას კი საქართველოს ჰიმნი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ... რბილად რომ ვთქვათ, კურიოზის მოწმენი გავხდით – რამდენჯერმე განმეორდა ერთი და იგივე აკორდები და ჰიმნიც შეწყდა.

უხერხული მდგომარეობიდან გამოსავლად ცოცხლად სიმღერა იქცა.

თავისუფლების მოედანზე შეკრებილმა ხალხმა, დიდმა თუ პატარამ ხმა ააყოლა ჰიმნს.

**რუსუდან გახარია.**



# პირველი ქალბატონები ამერიკულ აკადემიას ესტუმრნენ



**ამერიკისა და საქართველოს პირველი ქალბატონები ლორა ბუში და სანდრა რულოვსი გუშინ თბილისის ამერიკულ აკადემიას ესტუმრნენ, სადაც ლორა ბუშმა აკადემიის ორი მოსწავლის სადიპლომო ნაშრომი მოისმინა, შემდეგ კი მისთვის მოწყობილ მინი გაკვეთილს დაესწრო.**

ამერიკული აკადემიის ერთ-ერთ აუდიტორიაში გამართულ შეხვედრაზე ლორა ბუშმა მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

ამერიკისა და საქართველოს პირველი ქალბატონები ლორა ბუში და სანდრა რულოვსი თბილისში არსებულ „წიგნის სახლს“ ესტუმრნენ, სადაც მათ საქართველოს გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მეუღლემ ნინო ქადაგიძემ უმასპინძლა.

ლორა ბუშმა ნინო ქადაგიძეს საჩუქრად კერამიკის თეფში გადასცა, თავისი ავტოგრაფით. თავის მხრივ, ნინო ქადაგიძემ საპატიო სტუმარს მინანქარში შესრულებული ხატი უსახსოვრა.

ლორა ბუშმა „წიგნის სახლში“ უძველესი ქართული გამოცემები დაათვალიერა.

**ინტერ-პრესი.**

# საქართველოს ავტორიტეტი გაიზრდება

**აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისის აეროპორტში პრესისთვის კომენტარი გააკეთა.**

მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ის ლიდერის ვიზიტს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა უწოდა. მისი განცხადებით, საქართველოში ორი დღის განმავლობაში განვითარებული პროცესების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი აუცილებლად გაიზრდება. „მსგავსი დახვედრა აშშ-ის პრეზიდენტს თითქმის არც ერთ ქვეყანაში არ ჰქონია. ეს საქართველო-ამერიკის ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, ჯორჯ ბუშმა აღიარა საქართველო, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი ქვეყანა და მხარდაჭერა აღუთქვა ქვეყნის გაძლიერებასა და დემოკრატიის მშენებლობაში.

ბუშის დახვედრის ღონისძიებების ორგანიზებულად განხორციელებისათვის მიხეილ სააკაშვილმა ქართულ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა.

# საქართველოს პრეზიდენტი ახალი ინიციატივით გამოდის

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შავი ზღვის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ თავისუფლებისა და დემოკრატიის გავრცელებისთვის ახალი „იალტის კონფერენციის“ მოწყობის ინიციატივით გამოდის.**

როგორც გაზეთ „ვაშინგტონ პოსტთან“ საუბრისას სააკაშვილი აცხადებს, რუმინეთის და უკრაინის პრეზიდენტებთან ტრაიან ბიშესკუსთან და ვიქტორ იუშჩენკოსთან საუბრის შემდეგ ის თვლის, რომ ახალი „იალტის კონფერენციის“ ორგანიზების დრო დადგა. საუბარია „ახალი ევროპული დემოკრატიების ნებაყოფლობით ასოციაციაზე“, რომელსაც სამი მთავარი მიზანი ექნება.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ამგვარი კონფერენციის პირველი მიზანი უნდა იყოს „ჩვენს ქვეყნებში დემოკრატიის კონსოლიდაცია“, მეორე – შავი ზღვის რეგიონსა და ფართო ევროპაში, მათ შორის მოლდოვასა და ბელორუსიაში თავისუფლების გავრცელება.

სააკაშვილი გამოდის წინადადებით, შეზღუდონ ბელორუსიის ოფიციალურ პირთა გადაადგილება და მხარი დაუჭირონ იმ ტიპის საზოგადოებრივ მოძრაობებს, რომლებმაც საქართველოსა და უკრაინაში რევოლუციები მოახდინეს.

საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ახალი „იალტის კონფერენციის“ მესამე ამოცანა უნდა გახდეს ტირანიასთან ბრძოლა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ზიმბაბვე, კუბა და ბირმა.

**ინტერ-პრესი.**

ოპოზიცია

# „ასეთ ოპოზიციასთან ამერიკაშიც ვითანამშრომლებდი“

## წაათამამა ჯორჯ ბუშმა დავით გამყრელიძე

**„მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე დადებითად შეაფასა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტი საქართველოში.** იგი ჟურნალისტებს ბუშთან შეხვედრის რამდენიმე ასპექტზე ესაუბრა. მან თურმე ამერიკის პრეზიდენტს გააცნო ის საკითხები, რომლის მიხედვითაც საპარლამენტო ოპოზიცია მხარს უჭერს ხელისუფლებას. ესენია: რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან უმოკლეს ხანში გაყვანა; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ერაყსა და ავღანეთში ანტიტერორისტულ ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობა. „ამ საკითხებზე პარლამენტში, პოლიტიკურ ჯგუფებს შორის დავა ნამდვილად არ მიმდინარეობს“, – თქვა გამყრელიძემ.

მაგრამ საქართველოში ირღვევა ადამიანთა უფლებები, ფეხქვეშ ითელება მათი ღირსებები. „უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში ვითარება თავისუფლებისა და დემოკრატიის თვალსაზრისით არ გაუმჯობესებულა, უფრო პირიქით, – გაუარესდა“.

გამყრელიძემ ჯორჯ ბუშს კანონის უზენაესობაც შეახსენა, რომელიც „საქართველოში მთლიანად უგულებელყოფილია. შესაძლოა, ჩვენთან ეს ყველას ბოლომდე არ გაუთავისებია, ამერიკელებისგან და მისი პრეზიდენტისგან განსხვავებით, რომელმაც ძალზე კარგად იცის მისი მნიშვნელობა. მას პირდაპირ ვუთხარი, რომ საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს... მე ალბათ პირველი ადამიანი ვიყავი, რომელმაც მას ეს პრობლემა თვალნათლივ დაანახა და უთხრა, რომ მანამდე მას არ აწვდიდნენ ამ ინფორმაციას და შელამაზებულად წარმოუჩენდნენ საქართველოში არსებულ ვითარებას“.

„მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერის თქმით, იგი ამერიკის პრეზიდენტს პარლამენტის როლზეც ესაუბრა: კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად პარლამენტი, ფაქტობრივად, უუფლებოდაა დარჩენილი და ძალზე დასუსტებულია. ურთიერთკონტროლისა და ურთიერთდაბალანსების პრინციპი, რაზეც დამყარებულია ამერიკის სახელმწიფო, ჩვენთან აღარ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს“.

გამყრელიძეს ბუშთან შეხვედრაზე ყურადღება გაუმახვილებია აგრეთვე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებაზე საქართველოში. ამ ბურჯზე დგას ამერიკის სახელმწიფო და ყველა ცივილიზებული ქვეყანა. ოპოზიციონერი პარლამენტარი ფიქრობს, რომ დემოკრატიის დაუმკვიდრებლად „ჩვენ მალე უსერიოზულესი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით“.

გამყრელიძის თქმით, ბუშის რეაქცია ამ ყველაფერზე ადეკვატური იყო. მან თურმე წარმატებად ჩათვალა, რომ „ოპოზიციას მასთან შეხვედრაზე დასწრების საშუალება მიეცა და იხუმრა, რომ სიამოვნებით ითანამშრომლებდა ასეთ ოპოზიციასთან ამერიკაში. ამით ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ჩვენი მიდგომა სახელმწიფოებრივი იყო და არა დაწვრილმანებაზე, კინკლაობაზე და ურთიერთქიშპობაზე აგებული გამოსვლა“.

**მაია თამარაშვილი.**

შეფასება

# ჩამოვიდა – ღირსეული, დავხვდით – ღირსეულად

**ძალიან დიდი მოვლენა მოხდა – ასეთი ზესახელმწიფოს პრეზიდენტის ჩამოსვლა ჩვენს ქვეყანაში უდავოდ სიამაყის გრძნობას იწვევს. საამაყოა ისიც, რომ ბუშს ღირსეულად დავხვდით აბანოთუბანში... ეს იყო ძალზე ნიჭიერად დადგმული სანახაობა და ბუშიც, ძალაუნებურად, იქცეოდა არა როგორც პრეზიდენტი, არამედ როგორც უბრალო ადამიანი, რომელმაც კარგად იცის ჭეშმარიტი კულტურისა და ხელოვნების ფასი.**

**მე დიდად ნასიამოვნები ვარ.**

**გიგა ლორთქიფანიძე,**
**რეჟისორი.**

# სასიკეთოდ წაადგება ქვეყანას

**ბევრი პოლიტიკოსი ჩამოსულა საქართველოში, მაგრამ ამ რანგის, ამოდენა ქვეყნისა – თითო-ოროლა... იმ დღეს საზოგადოებრივ არხზე გადაცემა იყო ჯორჯ ბუშის შესახებ. ამერიკელები საუბრობდნენ მის ნიჭიერებაზე, გამჭრიახობაზე და, რაც ასე მესიამოვნა, იგი, თურმე, ძალზე რელიგიური ყოფილა... ჩამოვიდა და, ისეთი შეხვედრა მოვუწყვეთ (იმ დროს ამინდმაც დაგვინდო), რომ სცენაზე ავაცეკვეთ ამერიკის პრეზიდენტი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება ჯორჯ ბუშის ვიზიტი.**

**ჯემალ ხუციშვილი,**
**მხატვარი.**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# მიხეილ სააკაშვილი: „რევოლუციები იყო ხალხის ნების გამოვლინება და არა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეთქმულების შედეგი“

**ნატალი ნუგაირედი, „მონდი“ (საფრანგეთი), 10 მაისი.**

**მიხეილ სააკაშვილის სავარძელი დგას იმ კაბინეტში, რომელიც ოდესღაც შევარდნაძეს ეკუთვნოდა. ოთახის კედლებზე ნახავთ რელიგიური შინაარსის რამდენიმე სურათს და ფოტოებს, რომელზეც 37 წლის პრეზიდენტი აღბეჭდილია უცხოეთის სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან ერთად. დღეს სააკაშვილი ოდნავ მოიცვა ეიფორიამ.**

საქართველოს პრეზიდენტი ემზადება თავის სამშობლოში ჯორჯ ბუშის მასპინძლობისთვის, რომელიც 9-10 მაისს განახორციელებს პირველ ვიზიტს კავკასიაში, რაც აქამდე არ გაუკეთებია ამერიკის არც ერთ პრეზიდენტს. 1801 წლის შემდეგ, როცა საქართველო შევიდა რუსეთის იმპერიაში, ამ რეგიონს ყოველთვის განიხილავდნენ, როგორც რუსეთის საგანგებო გავლენის ზონას. „მონდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ გმირმა მიხეილ სააკაშვილმა განმარტა, თუ რატომ მიაჩნია მას, რომ ბუშის ჩამოსვლა საქართველოში არის ამ ქვეყნის აღიარებისა და გეოპოლიტიკური შემობრუნების ნიშანი.

**— რატომ გადაწყვიტეთ მოსკოვში 1945 წლის 9 მაისის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებებისთვის ბოიკოტის გამოცხადება?**

— ორი დღის წინათ (მოსკოვში გამართული მოლაპარაკების დასრულების შემდეგ) ჩვენ მივხვდით, რომ ამ მომენტისთვის ვერ შევძლებდით საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ ხელშეკრულების დადებას. ასეთ პირობებში კი, როცა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების ყოფნა ხელს უშლის ჩვენი სუვერენიტეტის სრულად გამოვლინებას, მე ვერ შევძლებდი მოსკოვში გამგზავრებას. ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო, მას შემდეგ, რაც მივაღწიეთ გარკვეულ პროგრესს რუსეთის მხარესთან დისკუსიის დროს, წინსვლა მოულოდნელად შეჩერდა. რუსები აცხადებდნენ, რომ ჯარების გაყვანას დასჭირდებოდა თორმეტი წელი, შემდეგ თქვეს, რომ ეს თერთმეტ წელში იქნებოდა შესაძლებელი, ბოლოს კი განაცხადეს, რომ სამიოთხი წელიც ეყოფაო.

ჩვენ მზად ვართ, გაგებით მოვეკიდოთ ამას, მაგრამ მსურს, გავიხსენო, რომ ლიბანიდან სირიის ჯარების გამოყვანას მხოლოდ ორი კვირა დასჭირდა და თანაც, იქ სირიელი ჯარისკაცების რიცხვი ოთხჯერ აღემატებოდა ჩვენს ტერიტორიაზე მყოფ რუსეთის კონტინგენტს. გუშინ, პირველად ამ 9 თვის განმავლობაში, ტელეფონით ვესაუბრე ვლადიმერ პუტინს. მას შეგნებული აქვს სიტუაცია, იგი რეალისტია. ჩვენი მხრივ, ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რათა ჯარების გაყვანის პროცესმა რუსეთის მხარისთვის არ გამოიწვიოს რაიმე დამცირების გრძნობა, ეს, როგორც ჩანს, მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჯარების გაყვანის ვადა უნდა გახდეს 2008 წლის დამლევი, სწორედ ამ წლისთვის არის დანიშნული საქართველოში მომავალი პრეზიდენტის არჩევნები.

**— რას ელით ბუშის ვიზიტისგან?**

— ჯორჯ ბუშმა მტკიცედ განაცხადა, რომ საქმე ეხება იმ რეფორმების მხარდაჭერას, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ, ისევე როგორც „გაყინული კონფლიქტების“ მოგვარების საქმისთვის ხელშეწყობას. იგი აპირებს, კვლავ დაადასტუროს, რომ პატივი უნდა სცენ დამოუკიდებელი სახელმწიფოების სუვერენიტეტს, რომლებიც წარმოიქმნენ სსრ კავშირის დაშლის შედეგად. ბატონმა ბუშმა ილაპარაკა ასევე იალტის დანაშაულებრივ შეთანხმებაზე, რაც ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მე თვითონაც სუუამის სამიტის დროს მოვუწოდე დამსწრეთ, გაგვემართა „ახალი დემოკრატიული იალტის კონფერენცია“. 1945 წლის 9 მაისს ყველა ქვეყანა ერთნაირად ვერ აღიქვამს, რადგან ზოგიერთი მათგანისთვის ომის დასრულება გახდა საბჭოთა ოკუპაციის დასაწყისი.

ჯორჯ ბუშის ჩამოსვლას თბილისში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამერიკის პრეზიდენტი ვიზიტს მართავს უკრაინასა და ყირგიზეთში მომხდარი მოვლენების შემდეგ. პრეზიდენტად ჩემი არჩევის შემდეგ, ბუშს ტელეფონით თვეში სულ ცოტა, ორჯერ მაინც ვესაუბრები. დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეული როლი შევასრულე ყირგიზეთში პოლიტიკური კრიზისის მოწესრიგების საქმეში. მე ტელეფონით დავუკავშირდი ყაზახეთის პრეზიდენტს და ვთხოვე მას დაეთანხმებინა პოსტიდან გადადგომაზე ასკარ აკაევი.

უკრაინაში რევოლუციამდე ერთი წლით ადრე მე ბევრს ვმოგზაურობდი სხვადასხვა ქვეყანაში და ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ აუცილებელი იყო პოლიტიკური ცვლილებები უკრაინაში. ბევრს ეს არ სწამდა, ამბობდნენ, რომ უკრაინა რუსეთთან ძალზე ახლოაო. ყოველთვის ვამბობდი, რომ არ ვიყავი რევოლუციის „ექსპორტიორი“, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციები კიევში, თბილისსა და ბიშკეკში იყო სრულიად განსხვავებულ ქვეყნებში მომხდარი რევოლუციები. ეს გახლდათ ხალხის ნება-სურვილის გამოვლინება და არა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ან ჯორჯ სოროსის რაღაც შეთქმულების შედეგი, როგორც ამის წარმოდგენა სურს ზოგიერთს. საქმე ეხება 1989 წლის რევოლუციების შემდეგ ევროპის გათავისუფლების მეორე ტალღას.

**— თქვენ ელით ამ პროცესების გაგრძელებას სხვა სახელმწიფოებშიც — ბელორუსიაში, აზერბაიჯანში?**

— ყველასთვის აშკარაა, რომ ბელორუსიის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს რეჟიმი დიქტატურაა, ეს არის ანომალია შუა ევროპაში. რაც შეეხება ილჰამ ალიევს, მას კარგად აქვს შეგნებული, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეფორმების განხორციელებას აზერბაიჯანში. ალიევი ფანატიკოსი არ არის. თქვენ ნახავთ, იგი აღარ გასცემს ოპოზიციის მანიფესტაციების სასტიკად დარბევის ბრძანებას, როგორც ეს გააკეთა რამდენიმე წლის წინათ.

# დადგა იალტაში დაბრუნების დრო

**მიხეილ სააკაშვილი, „ვაშინგტონ პოსტი“ (აშშ), 10 მაისი.**

**60 წლის განმავლობაში „იალტა“ ნიშნავდა ღალატსა და გვერდზე განდგომას. ამ მზიურ შავიზღვისპირა კურორტში ბრიტანეთს, საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის მიღწეული დიპლომატიური შეთანხმების შედეგად მილიონობით ადამიანი მოხვდა უმოწყალო ტირანიის ხელში.**

როგორც გასულ კვირას ლატვიაში პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, იალტის ხელშეკრულება მოჰყვა მიუნხენის მანკიერ ტრადიციებსა და მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს. მძლავრმა სახელმწიფოებმა როცა მიაღწიეს მორიგებას, მსხვერპლად გაიღეს პატარა ხალხების თავისუფლება.

საბედნიეროდ, ევროპის დაყოფა, რკინის ფარდა, რომელმაც მონიშნა მისი საზღვრები, წარსულის აჩრდილად დარჩა. 1989 წლის თაობამ მიაღწია წარმატებას გდანსკის, პრაღისა და რიგის ქუჩებში და ტერიტორიათა უმეტესი ნაწილი, რომლებიც იალტის კონფერენციის შედეგად დიქტატორის ხელში აღმოჩნდა, ახლა დემოკრატიული ხალხების ერთობას ეკუთვნის.

უკვე დადგა დრო, რომ ჩვენც შევიტანოთ წვლილი ერთიანი თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის ჩამოყალიბებაში. რუმინეთის პრეზიდენტთან ტრაიან ბესესკუსთან და უკრაინის პრეზიდენტთან ვიქტორ იუშჩენკოსთან ამ ცოტა ხნის წინათ გამართული საუბრის შემდეგ, ვფიქრობ, რომ დადგა ახალი იალტის კონფერენციის, სამი ძირითადი მიზნით ევროპის ახალი დემოკრატიების ნებაყოფლობითი გაერთიანების დრო.

ჯერ ერთი, ჩვენ ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ ჩვენს ქვეყნებში დემოკრატიის მხარდასაჭერად. საქართველომ მხოლოდ წელიწადნახევრის წინ მიაღწია თავისუფლებას „ვარდების რევოლუციის“ დროს. მართალია, ჩვენ დიდი წარმატებები მოვიპოვეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი სიცოცხლისუნარიანი დემოკრატიის ასაშენებლად. ჩვენი ტერიტორიის ორ დიდ ნაწილს — სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს — არ შეხებია თავისუფლების ტალღა, რომელმაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიას გადაუარა. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ამ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზა და გავაკეთებთ კიდეც ამას, რათა გავაუმჯობესოთ საქართველოს მოქალაქეთა ცხოვრება. სულ ხუთი თვის წინათ დასრულდა უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუცია“. ჩემმა მეგობარმა ვიქტორ იუშჩენკომ უნდა გადაწყვიტოს რთული ამოცანები. მან უნდა აღადგინოს ქვეყნის ეკონომიკა, ბოლო მოუღოს კორუფციასა და დამნაშავეობას, რომლებიც უკრაინას მემკვიდრეობით ერგო არაერთი ათწლეულის რეპრესიებისა და უკანონობის შედეგად.

მეორეც, ჩვენ უნდა გავაფართოოთ თავისუფლების საზღვრები შავი ზღვის რეგიონში და მთელს ევროპაში. მოლდავეთს, ისევე როგორც საქართველოს, აქვს სეპარატისტულ რეგიონთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც სულდგმულობს იქ შემორჩენილი საბჭოთა იარაღისა და უკანონო ეკონომიკური საქმიანობის ხარჯზე — იარაღით, ნარკოტიკებითა და ქალებით ვაჭრობა. ეს საბჭოთა იმპერიის უკანასკნელი ნამსხვრევებია.

ბელორუსიაში 10 მილიონი კაცი ფაქტობრივად, უუფლებოა. ალექსანდრე ლუკაშენკოს რეჟიმის ძირითადი იარაღია ადამიანების დაშინება, თუმცა, ამასთან, თვითონ ეშინია საკუთარი ხალხის. მსოფლიო გაერთიანებას შეუძლია, გააკეთოს გაცილებით მეტი იმისთვის, რომ დაეხმაროს ბელორუს ხალხს თავისუფლებისთვის ბრძოლაში. ახალმა იალტის კონფერენციამ ხელი უნდა შეუწყოს ბელორუსიის გათავისუფლებას სამთავრობო მოხელეებისთვის ევროპის ფარგლებში გადაადგილების მკაცრი შეზღუდვის დაწესების, ოპოზიციისა და სამოქალაქო სფეროს საზოგადოების საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებისა და მატერიალური დახმარების გაფართოების გზით და იმ მშვიდობიანი პროტესტების მეშვეობით, რომლებმაც უკვე შეასრულეს თავიანთი როლი საქართველოსა და უკრაინის გათავისუფლებაში.

და მესამეც, ჩვენ გვსურს, რომ თავისუფლების საზღვრები შორს გასცდეს შავი ზღვის რეგიონს. ჩვენ არაორაზროვნად მივანიშნებთ მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს: თავისუფალი ხალხები მშვიდად ვერ ადევნებენ თვალყურს იმას, თუ როგორ ჰყვავის ტირანია. სწორედ ისევე, როგორც ჩვენ ვსარგებლობთ თავისუფლების კეთილდღეობით, ნაკისრი გვაქვს კიდეც პასუხისმგებლობა იმათ წინაშე, ვისაც ჯერ ამისთვის ვერ მიუღწევია. ზიმბაბვეში, კუბაში, ბირმაში, მსოფლიოს სხვა რეგიონებში მილიონობით ადამიანი ცხოვრობს მკაცრი ტირანების რეჟიმების ქვეშ. მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები ძალზე ხშირად არიან მზად, მსხვერპლად გაიღონ თავისუფლება იმის სანაცვლოდ, რასაც ისინი მცდარად მიიჩნევენ სტაბილურობად. ჩვენ ვიცით, რომ სტაბილურობას მოიტანს მხოლოდ იმ ხალხის თანხმობა, რომლებსაც ისინი მართავენ. და ჩვენ გვწამს, რომ მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნები თუ დაისახავენ პრიორიტეტად თავისუფლებას, დიქტატორთა დღეები დათვლილი იქნება.

იმ პირებმა, რომლებმაც ისტორიულად არასწორი პოზიცია დაიკავეს თბილისში, კიევსა და ბიშკეკში — ისევე, როგორც იმათ, ვინც ეს მათზე ადრე გააკეთა ვარშავაში, ბრატისლავასა და ბელგრადში, — დაკარგეს კავშირი თავიანთ ხალხებთან და ვერ დაინახეს კარსმომდგარი დემოკრატიული ცვლილებები. ხალხის მშვიდობიან საპროტესტო გამოსვლებს ისინი მუდამ უწოდებდნენ რაღაც იდუმალებით მოცული ძალების მიერ წამოწყებულ „შეთქმულებას“. მაგრამ ნუთუ მათთვის არ იყო ნათელი, რომ კორუმპირებული და დესპოტი ლიდერები სამუდამოდ ვერ მართავდნენ ქვეყნებს თავ-თავიანთი ხალხის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ?

ისტორიულად შავი ზღვა მდებარეობდა რუსეთის, ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიების შესაყარზე. ახლა იქ გადის ახალი საზღვარი — თავისუფლების საზღვარი ახალი ახალგაზრდა დემოკრატიებით. ის ღირებულებები, რომლებიც შთაგვაგონებდნენ ჩვენი მშვიდობიანი რევოლუციების დროს — მთავრობა უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით, ღია საზოგადოება, კანონის უზენაესობა — არ გახლავთ მხოლოდ ევროპული ღირებულებანი — ისინი საყოველთაოა. თავისუფლების ქარმა, რომელმაც შავი ზღვიდან გადაუარა უკრაინას, ახლა შუა აზიის სტეპებში ბობოქრობს და ლიბანის კედარის ტოტებამდეც მიაღწია.

დადგა დრო, დავბრუნდეთ იალტაში. ამჯერად ჩვენ არ მივმართავთ არანაირ საიდუმლო დიპლომატიას, რომლის შედეგადაც, სახელი გაუტყდებოდა ჩვენს ღირებულებებს, ყოვლად უდანაშაულო ადამიანები კი დამონებულები აღმოჩნდებოდნენ. დემოკრატიული ქვეყნების ამ ახალ გაერთიანებაში ჩვენი დიპლომატია იქნება ღია, და ჩვენ მომავლისკენ მივაპყრობთ მზერას. მაშინ ჩვენ შევძლებთ იმას, რომ იალტა ვაქციოთ იმედის სიმბოლოდ.

## სერგეი ბაღაფში: „ჩვენ პატივს ვცემთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის აზრს, მაგრამ აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხი განხილვას არ ექვემდებარება“

**„ინტერფაქსის“ საინფორმაციო სააგენტო, 10 მაისი.**

**აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი არ ექვემდებარება განხილვას და მოლაპარაკებას. ეს განაცხადა 10 მაისს თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა.**

„ჩვენ პატივს ვცემთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის აზრს, რომელიც მიესალმა იმას, რომ ქართული მხარე მიანიჭებს ავტონომიას აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, მაგრამ მსურს, აღვნიშნო, რომ აფხაზმა ხალხმა რეფერენდუმზე უკვე გააკეთა არჩევანი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სასარგებლოდ და ამ არჩევანს პატივი უნდა სცენ“, — თქვა ბაღაფშმა. ამავე დროს, ბაღაფშმა კვლავ აღნიშნა, რომ აფხაზეთი „მზად არის, საქართველოსთან წარმოქმნილი ყველა სადავო საკითხი გადაწყვიტოს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით“.

# აფეთქებები ბაღდადში

**ბაღდადის ცენტრში მომხდარი ორი აფეთქების შედეგად დაიღუპა სულ ცოტა შვიდი და დაიჭრა 41 კაცი, განაცხადეს ქალაქის სასწრაფო სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლებმა.**

დაღუპულთა უმრავლესობას შემთხვევითი გამვლელები შეადგენენ.

როგორც ვარაუდობენ, პირველი ბომბის აფეთქებით ტერორისტებს სურდათ გაენადგურებინათ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავტოკოლონა, თუმცა, საბოლოო ანგარიშით, ეს მათ ვერ მოახერხეს.

ბომბი აფეთქდა ბაღდადის საქმიან უბანში.

რამდენიმე საათის შემდეგ კამიკაძე დანაღმული ავტომანქანით გაიჭრა სამდინარო პოლიციის განყოფილების შენობისკენ, რომელიც ბაღდადის ცენტრის სამხრეთით, აბულ ნავაზის რაიონში მდებარეობს.

აფეთქების შედეგად დაშავდა რამდენიმე პოლიციელი, თუმცა, არაფერს იტყობინებიან დაღუპულთა შესახებ.

სულ კი ამ ბოლო ათი დღის განმავლობაში, ერაყში აფეთქებებისა და თავდასხმათა შედეგად დაიღუპა 300-ზე მეტი კაცი.

ამავე დროს, სირია-ერაყის საზღვარზე, უდაბნოში მიმდინარე ბრძოლების შედეგად ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა მოკლეს ასზე მეტი მოთარეშე.



ოპერაციაში, რომლის კოდური სახელწოდებაა „მატადორი“, მონაწილეობენ ვერტმფრენები და ავიაგამანადგურებლები. ამ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ეს უდიდესი ოპერაცია დაიწყო გასულ შაბათს.

ამერიკელი საზღვაო ქვეითები ჩხრეკენ უდაბნოს იმ ადგილებს, სადაც ცხოვრობენ ადამიანები, რადგან, სამხედროთა აზრით, შესაძლოა, სწორედ იქ იმალებოდნენ აბუ მუსაბ ზარქავის დაჯგუფების მოთარეშეები.

ასევე იტყობინებიან, რომ ოპერაციის განხორციელების დროს დაიღუპა სამი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. გარდა ამისა, სამშაბათს ერაყის ქალაქ ფალუჯის მახლობლად მიმდინარე ბრძოლების დროს დაიღუპა ერთი ამერიკელი საზღვაო ქვეითი.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ერაყში ამერიკელთა საბრძოლო დანაკარგებმა 1224 კაცი შეადგინა.

# ერაყელმა ტერორისტებმა იაპონიის მოქალაქე გაიტაცეს



**იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ ერაყში მძევლად ჰყავთ აყვანილი იაპონიის მოქალაქე.**

როგორც იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა ჰიროიუკი ჰოსოდამ თქვა, ბრიტანეთის „ჰართ სექიურითის“ დაცვის კომპანია იტყობინებოდა, რომ მისი თანამშრომელი, 44 წლის აკიჰიკო საიტო, რომელიც კომპანიაში კონსულტანტად მუშაობდა, ნამდვილად უგზო-უკვლოდ დაიკარგა ერაყში. არის მონაცემები იმის თაობაზე, რომ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მოთარეშეები თავს დაესხნენ ავტომობილს და მოკლეს რამდენიმე კაცი.

ამავე დროს, იაპონიის თავდაცვის სამმართველოს უფროსმა იოსინორი ონომ განაცხადა, რომ ამ ინციდენტს არანაირი გავლენა არ მოუხდენია დაახლოებით 600 სამხედრო მოსამსახურისგან შემდგარი იაპონიის კონტინგენტის საქმიანობაზე, რომელიც დისლოცირებულია სამხრეთ ერაყში, ქალაქ ეს-სამავის მახლობლად.

შეგახსენებთ, რომ ერაყში მოქმედმა „ჯეიშ ანსარ ას-სუნას“ („სუნის მიმდევართა არმია“) ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ ორშაბათს გამოაცხადა, რომ მძევლად აიყვანა იაპონელი. ამ დაჯგუფებამ თავის საიტზე მოათავსა ფოტოსურათი პასპორტიდან, რომელიც გაცემულია 1996 წელს ტოკიოში მცხოვრები ვინმე აკიჰიკო საიტოს სახელზე. ასევე იტყობინებიან, რომ იაპონელი მძიმედაა დაჭრილი.

ამავე დროს, დაჯგუფების საიტზე განთავსებულია ფოტოსურათები პირადობის მოწმობიდან, რომელიც გასცა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ, ასევე, იარაღის ტარების ნებართვა. ამასთან დაკავშირებით, იაპონიის კიოდოს საავენტო აღნიშნავს, რომ ეს იაპონელი შესაძლოა, მუშაობდა მცველად ამერიკის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ ობიექტში. გამტაცებლებს ჯერჯერობით არანაირი პირობები არ გამოუთქვამთ.

# ამერიკელებმა ირანის განცხადებას უპასუხეს

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საკმაოდ თავშეკავებული რეაგირება მოახდინა ირანის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომელიც აღნიშნავდა, რომ უახლოეს დღეებში განაახლებდა ურანის გამდიდრებას.**

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ბრიტანეთთან, გერმანიასთან და საფრანგეთთან ირანის მიერ დადებული შეთანხმების ნებისმიერ დარღვევას მოჰყვება სერიოზული შედეგები. ამ შეთანხმებით, კერძოდ, ირანის მხარემ იკისრა შეეჩერებინა თავისი ბირთვული პროგრამა.

როგორც მიმომხილველები ვარაუდობენ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, შესაძლოა, ეს საკითხი განსახილველად გადასცეს გაეროს უშიშროების საბჭოს, თუმცა, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელს ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

თეირანი კი თავის მხრივ აცხადებს, რომ მხოლოდ მცირე ხნით დათანხმდა ბირთვული პროგრამის შეჩერებას, და ახლა იგი გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ არ შეინიშნება პროგრესი ევროპის სამ ქვეყანასთან მოლაპარაკების პროცესში.

ირანის ატომური ენერგეტიკის უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ მოჰამედ საედიმ ორშაბათს უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე აღნიშნა, რომ ირანი უკვე უახლოეს დღეებში შეძლებს ურანის გამდიდრების პროცესის განახლებას ქალაქ ისპაჰანის საწარმოში.



როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ირანი ამ ქარხანაში ახორციელებს ურანის ოქსიდის კონვერტირებას გაზად, რომელსაც ზეჩქაროსნული ცენტრიფუგების მეშვეობით გარდაქმნიან ურან-235-ად. სწორედ ეს პროცესი არის ურანის გამდიდრება.

თეირანი ამტკიცებს, რომ უკვე განახორციელა გაზად 37 ტონა ურანის ნედლეულის ტრანსპორტირება, თუმცა, ეს მოხდა მანამ, სანამ ირანი დათანხმდებოდა ამ სამუშაოების შეჩერებას.

თეირანი აღნიშნავს, რომ ამჯერად საქმე ეხება არა ურანის გამდიდრებისთვის განკუთვნილი სამუშაოების სრულმასშტაბიან განახლებას, არამედ მხოლოდ მოსამზადებელ ფაზებს.

# „ვატიკანის რადიოს“ ხელმძღვანელები გაასამართლეს

**კათოლიკური „ვატიკანის რადიოს“ ხელმძღვანელები კარდინალი რობერტო ტუჩი და მღვდელმსახური პასკუალ ბორგომეო ცნეს ბრალეულად მძლავრი ელექტრომაგნიტური**




**ტალღების გავრცელებაში და მათ მიუსაჯეს 10 დღის პატიმრობა, განაჩენის აღსრულების გადავადებით.**

გარდა ამისა, იტალიის სასამართლომ, რომელმაც საქმე განიხილა, დაადგინა, რომ კარდინალმა და წმინდა მამამ უნდა გადაიხადონ კომპენსაცია და აანაზღაურონ სასამართლო ხარჯები. კომპენსაციის თანხა უნდა განსაზღვროს სამოქალაქო საარბიტრაჟო ორგანომ და მან, შესაძლოა, მიაღწიოს რამდენიმე მილიონ ევროს.

ორი გამოკვლევის შედეგად გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რომის ჩრდილოეთ ნაწილში „ვატიკანის რადიოს“ ანტენების მიერ შექმნილი ველი შესაძლებელია, გახდა ამ რაიონში ონკოლოგიურ დაავადებათა რიცხვის ზრდის მიზეზი.

რადიოსადგურის გიგანტური ანძების მეშვეობით 40 ენაზე ხორციელდება ვატიკანის პროგრამების ტრანსლაცია.

2001 წელს გამართული პირველი გამოკვლევის ავტორებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ გადამწოდების ირგვლივ წარმოქმნილი მაგნიტური ველების სიმძლავრე ბევრად აღემატება ზღვრულად დასაშვებ დონეს.

2002 წელს გაიმართა პირველი პროცესი ამ პრობლემის თაობაზე, მაგრამ იგი არ დასრულებულა: მოსამართლეებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ იტალიაში მოქმედი კანონების გამოყენება დაუშვებელი იყო კათოლიკური რადიოსადგურის მიმართ, რადგან იგი მდებარეობს დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს — ვატიკანის ტერიტორიაზე.

მაგრამ მოგვიანებით ეს გადაწყვეტილება გააუქმეს და რადიოსადგურის პრეზიდენტი კარდინალი ტუჩი და საწარმოს გენერალური მდივანი მამა ბორგომეო კვლავ აღმოჩნდნენ სასამართლოს წინაშე.

თუმცა, „ვატიკანის რადიოს“ პროგრამათა დირექტორმა მამა ფედერიკო ლომბარდიმ განაცხადა: „ეს საოცარია — მე ვაპირებ აპელაციის შეტანას. გადამწოდების სიმძლავრე არ აღემატება საერთაშორისო ნორმებს და იტალიასა და ვატიკანს შორის დადებულ შეთანხმებაში დაფიქსირებულ დონეს“.

# მეცნიერებმა პირველად შეძლეს, შავი ხვრელის წარმოქმნის პროცესის ფირზე აღბეჭდვა

**აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (ნასა) მეცნიერებმა ისტორიაში პირველად შეძლეს ფოტოზე აღებეჭდათ კოსმოსში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენა — შავი ხვრელის დაბადება.**

ასტრონომები აკვირდებოდნენ ორი მკვრივი ნეიტრონული ვარსკვლავის შეჯახებას, რის შედეგადაც წარმოიქმნა შედარებით მცირე მასის შავი ხვრელი. მთელ ამ პროცესს თან ახლდა გამა-გამოსხივების აფეთქებები.

ნასას წარმომადგენელთა თქმით, მეცნიერებმა პირველად შეძლეს ვიზუალურად დაეფიქსირებინათ მოკლევადიანი გამა-აფეთქება.

შეჯახება მოხდა დედამიწიდან 2,2 მილიარდი სინათლის წელიწადის მანძილზე, ანუ იგი სინამდვილეში მოხდა 2,2 მილიარდი წლის წინათ, მაგრამ სინათლის სხივმა ჩვენს პლანეტამდე მხოლოდ ორშაბათს მოაღწია.



გამა-სხივების აფეთქება მოხდა შუაღამისთვის, და მისი დაფიქსირება შეძლო „სვიფტ“ ორბიტულმა ტელესკოპმა.

გამა-გამოსხივების მოკლე აფეთქებებს ასტრონომები საკმაოდ ხშირად აფიქსირებენ. ხანგრძლივი აფეთქებები, რომლებიც რამდენიმე წამს გრძელდება, როგორც წესი, ნიშნავს ახალი შავი ხვრელის დაბადებას, და ეს ხდება დიდი ვარსკვლავების აფეთქების მომენტში. ასტრონომებმა უკვე შეძლეს დაეფიქსირებინათ ამ აფეთქებების ვიზუალური გამოვლინება.

მოკლე აფეთქებები, ისეთი, როგორიც ამჟამად დააფიქსირეს, ჩვეულებრივ, მეცნიერთათვის შეუმჩნევლად ხდებოდა, რადგან მათი ხანგრძლივობა მხოლოდ წამის რამდენიმე მეათედი თუ იყო. ამიტომ ასტრონომებმა მხოლოდ ახლა შეძლეს ვიზუალურად დაეფიქსირებინათ იგი.

# მოკლედ



**ისრაელში პატივს მიაგებენ ებრაული სახელმწიფოსთვის ბრძოლებში დაღუპულთა ხსოვნას. სამშაბათს, საღამოს 8 საათზე, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ისმოდა სირენის ხმა, რომელმაც ისრაელის მცხოვრებლებს ამცნო ხსოვნის დღის დაწყება. 1947 წლის 29 ნოემბრის შემდეგ, როცა გაერომ პალესტინის ტერიტორია დაყო ორ სახელმწიფოდ — არაბულ და ებრაულ სახელმწიფოებად, ისრაელში ომებისა და ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაიღუპა 20368 კაცი.**

* * *



**ყოფილი სსრ კავშირიდან ლატვიაში იმიგრანტებს არ ჩათვლიან ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებად. ლატვიას დაგეგმილი აქვს, რომ მიმდინარე წლის 23 ივნისამდე განახორციელოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის რატიფიკაცია, მაგრამ ეს დოკუმენტი არ გავრცელდება ყოფილი სსრ კავშირიდან იმიგრანტებზე, აცხადებს ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.**

* * *



**ამერიკელმა მეცნიერებმა გამოსცადეს ჯავშანჟილეტი, რომელიც ფოლადს სიმტკიცით 15-ჯერ აღემატება. ახალი ჯავშანჟილეტი სულ 4,5 კილოგრამს იწონის. იგი დამზადებულია ზემტკიცე მასალისგან, რომელიც შექმნილია პოლიეთილენის ბოჭკოების საფუძველზე. ჟილეტმა უნდა დაიცვას ამერიკელი ჯარისკაცები ხელყუმბარების და ჭურვების ნამსხვრევებისგან.**

* * *

**ესტონეთის პრემიერმა ანდრუ ანსიპმა განაცხადა, რომ რუსეთი თუ მოიხდის ბოდიშს ოკუპაციის გამო, ეს ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესებას. „არ მწამს, თითქოს რუსეთს უჭირდეს, აღიაროს ძალადობა მოსახლეობის დეპორტაციის დროს. აქ კარგი იქნებოდა ბოდიშის მოხდა. სამწუხაროდ, ასე მარტო მე როდი ვფიქრობ. ამ მოსაზრებას იზიარებს ესტონეთის მცხოვრებთა უმრავლესობა და მსოფლიოს მრავალი პოლიტიკური ლიდერი“, — აღნიშნა ესტონეთის პრემიერმა.**



* * *

**სუმატრის კუნძულზე მოხდა მძლავრი მიწისძვრა. მიწისქვეშა ბიძგების მაგნიტუდამ მიაღწია 6,4 ბალს რიხტერის სკალით. ეპიცენტრი მდებარეობდა არქიპელაგის დასავლეთ ნაწილში, სუმატრისა და იავის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ კუნძულებს შორის. ჯერჯერობით, ინფორმაცია მიწისძვრის რაიონიდან არ გავრცელებულა.**

„დაჩაგრული“ პროფესია

# რით გადაურჩა რინგო სტარი გაკოტრებას?

## ექსპერტობას ბევრი ჩემულობს, პროფესიონალიზმი კი...

*პეტერბურგისა და ბერლინის საიმპერატორო მანუფაქტურებში, სევრისა და ვენის, ასევე იტალიის კაპო დე მონტესა და მაიოლიკის ცნობილ სხვა მანუფაქტურებში დამზადებული მაღალი ღირებულების გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები დღეს მხოლოდ მუზეუმებს ამშვენებენ. ჭიქურითა და ცეცხლგამძლე უმაღლესი დონის საღებავებით დამუშავებული, ღუმელში ორ-სამჯერ გამომწვარი ნაკეთობები თავიდანვე ღირდა მიუწვდომელი ფასი. ისინი მხოლოდ მეფეთათვის და მაღალი არისტოკრატიისთვის იყო გამიზნული.*

*მე-19 საუკუნის 30-40-იან წლებში ევროპაში ბურჟუაზიის ჩამოყალიბებამ ადამიანებში ანალოგიური ნივთების შეძენისა და მოხმარების სურვილი აღძრა. ვინაიდან ეს, მარტივი მიზეზის გამო შეუძლებელი გახდა, ხელოსნებმა ხერხს მიმართეს – ნივთების ფორმებს კოპირება მოახდინეს და დასამზადებლად მასალა იაფით შეცვალეს: ვერცხლი – ფერადით, იგივე მარმარილოთი (მას ვარშავასაც უწოდებენ), ფაიფური – ტერაკოტით, მაჰოგანისა და კარელიის არყის ხის მასიური მასალები – იგივე ხის დაბალი ხარისხის დაფანერებით, ძვირფასი ქვები – ბოჰემური მინის ქვებით, ანუ დღევანდელი ბიჟუტერიით. ხელობა შეუდარებელი აღმოჩნდა.*

*ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება ბატონი ნოდარ ახალაია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ქვეყანაში ერთ-ერთი აღიარებული ექსპერტი.*

*აღსანიშნავია, რომ ბატონი ნოდარი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მუზეუმის მატერიალურ ფასეულობათა სამეცნიერო-საექსპერტო ლაბორატორიას სახელწოდებით „რარიტეტი“. მის ხელში არაერთ საინტერესო და უძველეს ნივთს გაუვლია, რომელსაც კვლავ ბედნიერება, სიხარული და ასე განსაჯეთ, ბევრჯერ გულისწყრომაც მიუნიჭებია ნივთის მფლობელისთვის. იმედია, ათეული წლობით დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება თანაბრად წაადგება კერძო მესაკუთრესა და სახელმწიფოს, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს და აგვიანებს მიიღოს, ერთი შეხედვით, კაპრიზული, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი კანონი „შეფასების საქმიანობის შესახებ“.*



**— ბატონო ნოდარ, რატომ არქმევთ ამ კანონს კაპრიზულს?**

— იმიტომ, რომ საქმე გვაქვს სილამაზესთან, სიფაქიზესა და მარადიულობასთან!

**— იყო ანტიკვარიატის ექსპერტი, ალბათ საინტერესო და ძალზე პრესტიჟული პროფესიაცაა...**

— თავისთავად ცხადია. მისი მოვალეობაა, გაარკვიოს ნივთის რაობა, გაარკვიოს, რა სახის საგანთან აქვს საქმე. ეს საგნების ზუსტ შემეცნებას გულისხმობს. ორი სიტყვით აგიხსნით: მატერიალური კულტურის ნიმუშები, პირობითად, რამდენიმე ნაწილად იყოფა – ხელოვნების ნიმუშებად, გამოყენებითი ხელოვნების ნივთებად და რარიტეტულ (ძველ) საგნებად. ჩემი აზრით, მკვლევარი-ექსპერტი გამოყენებითი ნიმუშების შესწავლისას ყურადღებას ორ მეთოდზე უნდა ამახვილებდეს – ინტუიტიურზე, ანუ ინტუიციაზე დამყარებულ აღქმასა და აკადემიურზე – საგნის მატერიალური ნიშნების სამეცნიერო შესწავლაზე. საუბარი რომ არ დავამძიმო, მოკლედ გეტყვით – თუ მე ნივთი ინტუიტიურად არ მივიღე, ვერ აღვიქვი, ვერავითარი ქიმიური, ფიზიკური, არ გაგიკვირდეთ და, სპექტროგრაფიული ანალიზიც ვერ დამარწმუნებს. ვინაიდან საგნის რაობის შესწავლა, შემდეგ მისი მატერიალური ფასეულობის განსაზღვრა, სამუზეუმო საქმეც არის, ამის შესახებ დღეს უკვე ხმამაღლა ვსაუბრობ.

ახლა უშუალოდ ანტიკვარიატის შესახებ. ზემოაღნიშნული პირობითად დაყოფილი სამი ჯგუფიდან პირველი ორი – ხელოვნების ნიმუშები და გამოყენებითი ხელოვნების ნივთები, თავის დროზე, მაღალი სოციალური ფენისთვის იქმნებოდა და ანტიკვარულ ნივთთა ჯგუფს მიეკუთვნება. საიმპერატორო მანუფაქტურებში დამზადებული საგანი რომელიმე მხატვრული სტილისაა (ბაროკო, როკოკო, კლასიციზმი, ამპირი, ეკლექტიზმი, მოდერნი...) და ტექნოლოგიაც შეუდარებლად მაღალი აქვს. აქედან გამომდინარე, ისინი საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებდნენ და დროთა განმავლობაში თანდათან ფასი ემატებოდათ. ასეთი ნივთების შეძენა, მათში ფულის დაბანდება ყოველთვის იყო, არის და იქნება მომავალშიც. რაც შეეხება რარიტეტულ (ძველ) სახის საგნებს – იგი შეიძლება მართლაც დიდი ხნის იყოს, მაგრამ ანტიკვარი – არავითარ შემთხვევაში. იგი ფართო მომხმარებლისთვისაა დამზადებული და იშვიათობას არ წარმოადგენს. მასში ინტერესი, მუზეუმს ან კერძო კოლექციონერს შეიძლება ჰქონდეს. ექსპერტი პროფესიონალი მასალებში, ტექნოლოგიებითა და სხვადასხვა სოციალური ფენებისთვის დამზადებული და განკუთვნილი ნივთების გამიჯვნა უნდა შეძლოს.

**— სურვილის მიუხედავად, თუ ბოლომდე პროფესიონალი არ არის?**

— რას ბრძანებთ?! უმაღლესი ექსპერტი, უპირველესად, ნივთმცოდნეობის ოსტატი უნდა იყოს. იგი ძველი ნივთის შეხედვისას ყოველთვის ახალსა და მოულოდნელს უნდა პოულობდეს. ისეთს, მანამდე რომ არასდროს უფიქრია. ეს საბჭოეთისდროინდელი სადისერტაციო ნაშრომის დასკვნა არ გეგონოთ, წინასწარ რომ იწერებოდა. ინტუიცია თუ არა გაქვს, მარტო აკადემიური განათლება ვერ შეგაფასებინებს, ვთქვათ, ნაპოლეონის სტილს, – დამახასიათებელ ნიუანსებს – რომის იმპერიის დიდების ამსახველ მომენტებს, ტრაფეის ორნამენტებს, ზარბაზნებს, ბატალურ სცენებს, ანდა სარკის ჩარჩოებისთვის განკუთვნილ ფასკუნჯებს, გრიფონებს, გირლიანდებს. პლასტიკასა და დინამიკაში გადმოცემული ეს სურათები ხელითაა გამოძერწილი და გრავირებული, სიცოცხლისთვის სახიფათო და მავნებელი ტექნოლოგიით ამალგამის წესითაა (ბრინჯაო მაღალი სინჯის ოქროთია მოვარაყებული) შესრულებული და თქვენ ბრძანებთ, რომ ექსპერტმა ამის გარჩევა ვერ უნდა შეძლოს?!

**— თქვენი გაბრაზება არ მიფიქრია! ეს ისეთი სარფიანი საქმეა, კაცი თავისით რომ არ მიატოვებს, ესმის თუ არა იგი. თანაც თქვენ თვითონ კატეგორიულად ბრძანეთ, ანტიკვარიატში ფულის დაბანდება იყო, არის და იქნება მომგებიანიო. ე. ი. „სამუშაო“ სულ აქვთ.**

— თქვენ მე ისტორიული ფაქტებისა და მაგალითებისკენ მიბიძგებთ. კი, ბატონო, ვისაუბროთ. სუეცის არხის მშენებელი ინჟინერი გაკოტრების შემდეგ ფინანსური კრიზისიდან ანტიკვარულმა ნივთებმა გამოიყვანა; ბოლო დროს მსოფლიო ბირჟაზე აქციების დაცემამ ზოგიერთი დიდი მუსიკოსისა და ხელოვანის აქციები 50 პროცენტით გააუფასურა... რინგო სტარისა კი მხოლოდ 12-ით, რადგან მას ქონება ანტიკვარიატში ჰქონდა ჩადებული.

საერთოდ, ნორმალური საზოგადოების წევრი თავის დაზღვევის მიზნით ფულს ამ საქმეში აბანდებს. თუმცა შორს რატომ მივდივართ? ბოლო 15 წელი საქართველო რამ გადაარჩინა შიმშილსა და განსაცდელს? – ოჯახში ნაქონი ანტიკვარიატისა და რარიტეტული ნივთების გაყიდვამ. სამწუხარო ერთია, ასეთი ჭირთათმენის დროს ეს ნივთები კოლექციონერებისთვის ნადავლია, რომელიც „იოლი გზით“ გადადის ქვეყნის საზღვრის ნებისმიერ პერიმეტრს. გავბედავ და, ჩემს სათქმელს ვიტყვი – ყველაფერი, რაც დღეს საქართველოდან გადის, უკანვე უნდა დავიბრუნოთ!

ეს წესი და კულტურა ამერიკელებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს.

1900-1905 წლებში ამერიკელებმა ანტიკვარიატზე საბაჟო გადასახადები გააუქმეს. შემდეგ კი მინიმალური გადასახადები შემოიღეს. ვინაიდან ახალგაზრდა სახელმწიფოს ანტიკვარიატი არა აქვს, გასამდიდრებლად ასეთ ხერხს მიმართა და დანაზოგის სახით „მწვანე აუნთო“ ქვეყანაში სიმდიდრის ზარდახშას. რაც შეეხება მოპარულს, იგი „მოკლული“ ნივთია და ვერცერთ ქვეყანაში ვერ ცოცხლობს.

**— ცოცხალია თუ მოკლული არ ვიცი, მაგრამ საქართველოს ბანკებში დასაგირავებლად მუჭით მიტანილ საგვარეულო ოქროში „სემიჩკის“ ფასს რომ გიხდიან, სირცხვილი იქით იყოს, გული გისკდება ადამიანს.**

— დიახ, არასწორად იქცევიან. ამით ზიანს აყენებენ ბანკებს და საკუთარ სამსახურებრივ კარიერასაც იფუჭებენ. ახია მათ მეპატრონეებზე. ყველამ უნდა იცოდეს, ბანკებსა და სადაზღვევო სამსახურებს თავიანთი მაღალკვალიფიციური და არა მოწვეული ექსპერტი უნდა ჰყავდეს, რათა მაქსიმალურად დაიცვას საკუთარი ორგანიზაციის ინტერესები. პატიოსნება და ობიექტურობა – აი, რა არის ყველაზე დიდი გარანტი ბანკის წარმატებისა ამ საკითხში.

თუ შენ პატიოსანი კაცი ხარ, ნდობას იმსახურებ და კიტრივით მოგაქვს თავი, რა ნამუსია ხიფათში ჩავარდნილ კაცს ერთი გრამი ოქრო ჯართად შეუფასო?! ტარანია, რომ თვლით ან წონით ჩაიბარო ფაბერჟეს ნაკეთობა, – ხელოვნებაში ამხელა კლასიკოსის ნამუშევარი?

სინამდვილეში ასე უნდა ხდებოდეს – ფასეული ნივთის შემოტანისას ექსპერტმა მფლობელის ინტერესი უნდა დაიცვას, რომ ნივთის არგატანის შემთხვევაში მაღალი ამონაგები დარჩეს ორგანიზაციას. ევროპაში, ვთქვათ, მრავალფუნქციური დანიშნულების „პატეკ ფილიპის“ ჯიბის საათს თუ დააგირავებთ, გადაგიხდიან ორიგინალური ნივთის საფასურს. და, საერთოდ, ევროპაში ასეთი საგნების სპეციალური კატალოგები გამოდის.

**— მარტივად რომ ვთქვათ, ეს საქმე საქართველოს „ჩვეულებრივი“ მოქალაქეების ხელში ყოფილა და არა პროფესიონალებისა!**

— სწორედაც. ე. წ. „ექსპერტებს“ კერძო ინტერესები ამოძრავებთ და რეალური სურათის დადგენა მათ ინტერესებში არ შედის. სტატუსიც გაურკვეველი აქვთ. ისიც დასაფიქრებელია – ანტიკვარიატის მაღაზიას 150 აშშ დოლარად სადაც გნებავთ, იქ გახსნით, ვთქვათ აეროპორტის სალაროების ჯიხურის გასახსნელად კი ბანკში თანხაც უნდა გქონდეთ და თან სერტიფიკატიც.

**— კანონის არარსებობა, ალბათ, ფალსიფიცირებულ ნივთებს ფართოდ უღებს ბაზრის კარს.**

— ფალსიფიკატორები ყოველთვის იყვნენ. მე-18, მე-19 საუკუნეებში კი განსაკუთრებით ფაიფურის წარმოებასა და ფერწერაში გვხვდებოდნენ: ფრანგი „სამსონის“ მანუფაქტურა საქსის მიმსგავსებულ ნივთებს აკეთებს; იცავს ტექნოლოგიის უმნიშვნელო დეტალებს: ორჯერ ჭიქურში ამოვლებას, ორჯერ გამოწვას... რის შედეგადაც მაღალია ფაიფურის ხარისხი, მაგრამ ეს ის მაინც არ არის. თუმცა იგი თავისი ახალი ნაწარმის ხარისხით უნიკალურია.

**— უკაცრავად, შეგაჩერებთ. ძალიან საინტერესოა, მაგრამ, ბატონო ნოდარ, გაყალბების პრობლემა ჩვენში ძვირფასი ლითონების ნაკეთობებშიაც დგას?**

— სამწუხაროდ, გამონაკლისები აქაც არა ვართ. დიდი ხანი არ არის, ფასის მომატების მიზნით ბაზარზე ვითომ საბჭოთა კავშირში დამზადებული ნივთები გამოჩნდა 875 დამღით; ასევე ვითომ მე-19 საუკუნის ვერცხლი 84 სინჯით და ა. შ. ჩემს პრაქტიკაში უამრავი შემთხვევა მქონია, როცა 56 სინჯით ნაყიდი ოქრო სრულიად ახალი სამკაული აღმოჩენილა. ასეთი რამ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში კიდევ შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ დღეს – არავითარ შემთხვევაში.

ამ ყველაფერზე პასუხი სახელმწიფომ და კანონმა უნდა აგონ. სახელმწიფოს მხრიდან დაშვებულ შეცდომებს სკანდალები და სასამართლოები მოჰყვება. ამის თავიდან აცილება მაღალანაზღაურებად ექსპერტებს შეუძლიათ... კანონმა ეს საკითხები უნდა გათვალოს, თანაც რაც შეიძლება მალე, თორემ წალეკა ბაზარი თურქეთიდან და ირანიდან შემოსულმა დამღადარტყმულმა ნივთებმა. ჩვენს გამოუცდელ დილერებს პასუხს უცოდინრობის გამო ვერ მოვთხოვთ. სხვა ქვეყნებში კი დილერები პროფესიონალები არიან, ერთმანეთს კონკურენციას უწევენ საუკეთესოთა შორის საუკეთესო ნივთის მოსაპოვებლად. და, რაც მთავარია, მათი უმრავლესობა კოლექციონერია.

**— თქვენ, როგორც ექსპერტი, როგორ აფასებთ ამ საქმეში ქართულ მენტალიტეტსა და ვაჭრობის ფსიქოლოგიას?**

— ილია ამბობდა: „...ეხლა გვმართებს... ამ შრომის შენახვა და... გამრავლებაო“. გამრავლებაში ვაჭრობას გულისხმობდა. ფული ჭკვიანი კაცის ხელში მრავლდება. ჩვენი უბედურება 10-15 წლის წინათ ვიხილეთ ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას ვალით რომ ვიწყებდით. ცნობილია ერთი, მე-19 საუკუნის ამერიკელი სენატორის მეტად დასაფიქრებელი შეგონება, ნუ დახარჯავთ იმ ფულს, რომელიც ჯერ არ გიშოვიათ“. ჩვენც უნდა გამოვიმუშავოთ ეს თვისება საკუთარი თავისა და ქვეყნის გადასარჩენად, მით უმეტეს, ქართველებს აქვთ თვისება, უყვარდეთ ანტიკვარიატი, ასევე უძველესი ტრადიციაც გავიხსენოთ – ულამაზესი ნივთების ეკლესიისთვის შეწირვა.

**— თუ არსებობდა სააუქციონო კულტურა საქართველოში?**

— არც ყოფილა და ჯერ ვერც მოიკიდა ფეხი ჩვენში. თუ ამას მივაღწევთ, მსოფლიოს იმ სააუქციონო ერთიან სისტემაში აღმოვჩნდებით, რომელიც ხელს შეუწყობს ნივთის თვითღირებულების გაზრდას. ამით კმაყოფილი იქნება სახელმწიფოც, მომხმარებელიცა და გამყიდველიც. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუკი საქართველოში გამოყენებითი ხელოვნების საექსპერტო კულტურა ისეთ მაღალ დონეზე განვითარდეს, ამის საშუალებას ჩვენში არსებული სამეცნიერო პოტენციალი იძლევა, რომ იგი კავკასიასა და წინა აზიაში ამ საქმიანობაში ერთ-ერთი ლიდერი გახდეს.

**ია კალანდარიშვილი.**

**ჰავარ ლომაძის ფოტო.**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის მაინის ფრანკფურტის რეკონსტრუქციის ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ***ბაღდათის რაიონის სოფელ ზეგანის თემის ცენტრის აღდგენა.***

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ***ბაღდათის რაიონის სოფელ ზეგანის განვითარების სათემო კავშირთან „ზეგანი“,*** რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი „ზეგანი“*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:
***საქართველო, ბაღდათის რაიონი,***
***სოფელი ზეგანი, საბავშვო ბაღის შენობა***
***საკონტაქტო პირი: ამირან გუმბერიძე, სათემო კავშირი „ზეგანის“ თავმჯდომარე.***

**2005 წლის 16 მაისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:
***საქართველო, ბაღდათის რაიონი,***
***სოფელი ზეგანი, საბავშვო ბაღის შენობა***
***საკონტაქტო პირი: ამირან გუმბერიძე, სათემო კავშირი „ზეგანის“ თავმჯდომარე***

**2005 *წლის* 16 *ივნისის* 15 *საათამდე.***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25-04-42, 25-04-43, 23-07-79.**
**ფაქსი: (995 32) 23-01-03.**

## შეტყობინება

**სააქციო საზოგადოება „ჩითახევი-ბორჯომის“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2005 წლის 3 ივნისს, დღის 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49 ბ.**

**სააქციო საზოგადოება „ჩითახევი-ბორჯომის“ მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2005 წლის 3 მაისი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2004 წლის წლიური ანგარიში.
ა. წლიური ანგარიშის წარმოდგენა, დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;
2. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
4. ჩითახევჰესის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების დამტკიცება;
5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა;
6. 2005 წლის აუდიტორის არჩევა.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „ჩითახევი-ბორჯომის“ იურიდიულ მისამართზე: ქ. ბორჯომი, კოსტავას № 2, ან ცენტრალურ ოფისში (მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49 ბ, ტელ: 22-75-67), ხოლო განმარტებების მისაღებად, მოთხოვნა წერილობით უნდა იქნას დაყენებული დირექტორის წინაშე კრებამდე 10 დღით ადრე.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციებს უწევენ, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან:
— ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2005 წლის 21 აპრილის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და საკუთარ პირადობის მოწმობას.

აქციონერები კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლებას შეამოწმებენ სს „ჩითახევი-ბორჯომის“ რეგისტრატორთან შპს „კომპანია-ცენტრთან“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. № 24, ტელ: 22-53-51.

**სამეთვალყურეო საბჭო.**

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. **აჭარის** ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო აცხადებს ღია ტენდერს საწვავის, ზეთებისა და საპოხი მასალების შესაძენად შემდეგი რაოდენობით: ბენზინი A95 – 16 000 ლიტრი; ბენზინი A98 – 3 500 ლიტრი; დიზელი L62 – 3 000 ლიტრი; ზეთი სინთეტიკა TCW - 3 (Mercury, Ewenrod, Castrol) – 80 ლიტრი; ზეთი მინერალი – 80 ლიტრი; ტაოტი – 3 კილოგრამი, და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთვის შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ტალონური სისტემით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადების დღიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი და 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 16 მაისის 10 საათიდან 20 მაისის 17 საათამდე. მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქუჩა №6, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო, ტელ: 7-35-90.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**5.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

ა) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესყიდვის ობიექტის ხარისხის სერტიფიკატის ასლი;

გ) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დამტკიცდება პრეტენდენტად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 20 მაისს 17 საათზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 23 მაისის 10 საათიდან 24 მაისის 17 საათამდე მე-4 პუნქტში აღნიშნულ მისამართზე. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

9. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

## ქალაქ ბათუმის მთავრობა

1-01-25 / 12-1 № 80 „ 10 “ მაისი 2005 წ.

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ქ. ბათუმის ზღვისპირა პარკში, ყოფილი საზაფხულო თეატრის ტერიტორიაზე გართობისა და დასვენების ცენტრის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გრძელვადიანი იჯარით გაცემაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 5 აპრილის №54 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად
ქალაქ ბათუმის მთავრობა ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები „ქ. ბათუმის ზღვისპირა პარკში, ყოფილი საზაფხულო თეატრის ტერიტორიაზე გართობისა და დასვენების ცენტრის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გრძელვადიანი იჯარით გაცემაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 5 აპრილის №54 დადგენილების მე-5 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება განხორციელდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის მიერ ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნებიდან ან უკიდურეს შემთხვევაში განაცხადებისა და წინადადებების ჩაბარების ვადამდე 30 დღის განმავლობაში“.

2. შეტანილ იქნეს ცვლილებები ქალაქ ბათუმის მთავრობის 2005 წლის 5 აპრილის №54 დადგენილების დანართ 1-ში (ქალაქ ბათუმის ზღვისპირა პარკში ყოფილი საზაფხულო თეატრის ტერიტორიაზე გართობისა და დასვენების ცენტრის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გრძელვადიანი იჯარის საკონკურსო პირობები) და ბოლო აბზაცის პირველი სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „განაცხადების მიღება შეწყდება 2005 წლის 17 მაისს 17 საათზე“. მე-2 სტრიქონი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2005 წლის 20 მაისს“.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

4. დადგენილებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის უფროსს თეიმურაზ კახიძეს.

**მერის მოვალეობის შემსრულებელი**
**მურმან ბერიძე.**

◎ თარიღი

# კაცი, რომელიც ქვეყანას ახმარს თავის მდიდარ გამოცდილებას

## ვახტანგ რაზმაძეს 75 წელი შეუსრულდა



**არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი მღელვარე და დაუცხრომელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში წარუშლელ კვალს ტოვებენ საზოგადოებისა და ქვეყნის ისტორიაში. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება დამოუკიდებელი საქართველოს პირველი გენერალური პროკურორი ვახტანგ აპოლონის ძე რაზმაძე, რომელსაც ხვალ დაბადებიდან 75 და სახელმწიფო და პროკურატურის ორგანოებში მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდება.**

ვახტანგ რაზმაძე დაიბადა 1930 წლის 12 მაისს საქართველოს ერთ-ერთი ლამაზი კუთხის, რაჭის მაღალმთიან სოფელ ზედა-შავრაში. იქვე მიიღო საშუალო განათლება, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ქ. ტყიბულში ჯერ კომკავშირულ სამუშაოზე, ხოლო შემდეგ იგი, როგორც ერუდირებული და პერსპექტიული ახალგაზრდა, დააწინაურეს პარტიულ სამუშაოზე. 1961 წელს კი სპეციალობის მიხედვით დაინიშნა ქ. ტყიბულის პროკურორად და მას შემდეგ 31 წელი მუხლჩაუხრელად ემსახურა ქვეყანაში მართლწესრიგის განმტკიცების ამ მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო დარგს.

ბატონმა ვახტანგმა, ქ. ტყიბულის პროკურორის თანამდებობაზე თითქმის რვა წელი იმუშავა და თავისი საქმიანობით სამართალდამცავ ორგანოებსა და მოსახლეობაში ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურა.

1968 წელს იგი საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში განყოფილების გამგის მოადგილედ გადმოიყვანეს, ხოლო მოკლე დროში კი საგამოძიებო განყოფილების უფროსად დანიშნეს, სადაც თავი გამოიჩინა როგორც გამოცდილმა პროფესიონალმა და მინდობილი საქმის სანიმუშო შემსრულებელმა. აღნიშნული დადებითი თვისებები გახდა იმის საწინდარი, რომ იგი 1974 წელს თბილისის პროკურორის თანამდებობაზე დააწინაურეს, სადაც ექვსი წელი იმუშავა. აქტიური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებებით იმ პერიოდში ქალაქის პროკურატურის ორგანოებმა გამოავლინეს იმ დროისათვის მრავალი გახმაურებული განზრახ მკვლელობის, ქურდობის, მექრთამეობის, ფალსიფიკაციის, სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტები და დამნაშავენი წარსდგნენ მართლმსაჯულების წინაშე.

1980 წელს ვ. რაზმაძე პარტიულ სამუშაოზე, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში გადაიყვანეს, ხოლო 1982 წელს საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის პირველ მოადგილედ დანიშნეს, 1985 წლის აგვისტოში მან საქართველოს პროკურორის საპატიო პოსტი დაიკავა.

ამ პერიოდში საქართველოში იყო მძიმე მდგომარეობა. 80-იან წლებში რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის მიერ დაინერგა გეგმების შესრულებაში მიწერების და ყალბი მონაცემის შეტანა, რის საფუძველზეც სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტში და მშენებლობებზე ხდებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცება. მრავალი ათეული ადამიანი იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში და დასჯილი სასამართლოების მიერ, ასეთი ეიფორიის დროს ხშირად ირღვეოდა კანონიერება, მაგრამ მან ისიც მოახერხა, რომ საგამოძიებო ორგანოების გატაცება, რაც შეიძლება მეტი პირი მიეცათ პასუხისგებაში, ერთგვარად დაამუხრუჭა და ბევრი ადამიანი ააცილა ციხის კედლებს.

ძალზე დიდია კეთილი საქმეების ჩამონათვალი, რომელიც ბატონმა ვახტანგმა პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობის განმავლობაში გააკეთა.

მიუხედავად საკავშირო პარტიული და სამართალდამცავი ორგანოების მუქარისა და ზეწოლისა, მან პირადად აიღო პასუხისმგებლობა და ციხიდან გაათავისუფლა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების გამო დაპატიმრებული მერაბ კოსტავა, გია ჭანტურია, ზვიად გამსახურდია და ირაკლი წერეთელი და შეწყვიტა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

საქართველოში ეროვნული ძალების მოსვლის შემდეგ, 1990 წელს, ვახტანგ რაზმაძე როგორც გამოცდილი მუშაკი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ გენერალურ პროკურორად დაინიშნა, ხოლო 1992 წელს იგი საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი გახდა იურიდიულ საკითხებში. ერთი წლის შემდეგ კი გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. 1999 წელს ბატონმა ვახტანგ რაზმაძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და იგი საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის დროს ბატონი ვახტანგის საზრუნავი იყო პროკურატურის ორგანოებში სამუშაოდ მოეზიდა ახალგაზრდა, პერსპექტიული, საქმის მცოდნე, პატიოსან და თავდადებულ იურისტთა კადრები. იგი მუდამ ცდილობდა მათში შთაენერგა კანონისადმი პატივისცემა. სამსახურებრივ დაწინაურებაში კი მხოლოდ ერთადერთი პრინციპით ხელმძღვანელობდა, აწინაურებდა იმათ, ვისაც პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებები ჰქონდა და საკმაო ავტორიტეტითაც სარგებლობდა საზოგადოებაში. ამ კრიტერიუმით მან პროკურატურის ორგანოებში თავი მოუყარა ახალგაზრდა ნიჭიერ კადრებს, ერთ მუშტად შეკრა ისინი და სახელმწიფო საქმეების კეთებისა და კანონიერების მორჩილებისკენ დარაზმა. მათვე შეუქმნა მუშაობისათვის კარგი პირობები, რისთვისაც წელიწადნახევარში ააშენა პროკურატურის ახალი არქიტექტურული შენობა და აღჭურვა თანამედროვე ინვენტარით და რომელმაც ელფერი შეუცვალა და დაამშვენა ორთაჭალის ეს უბანი.

დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ 2004 წელს ბატონმა ვახტანგმა ქალაქ თბილისში დააფუძნა საერთაშორისო იურიდიულ-აუდიტორული ფირმა „ბახტრიონი“, რითაც დიდ დახმარებას უწევს ქვეყნის მოსახლეობას იურიდიული საკითხების მოგვარება-გადაწყვეტაში.

პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობის ორდენით“. მიღებული აქვს საქართველოს დამსახურებული იურისტის და პროკურატურის ორგანოების საპატიო მუშაკის წოდება. 2002 წელს ჩატარებული ჟურნალისტურ-სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, ბატონი ვახტანგ რაზმაძე სამართლის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებმა აღიარეს პროკურორების პატრიარქად.

**ჩვენს სახელოვან მამულიშვილს, ბატონ ვახტანგ რაზმაძეს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რათა თავისი მდიდარი გამოცდილება ხანგრძლივად მოახმაროს ჩვენს ქვეყანასა და ფართო საზოგადოებას. საამაყოა, რომ იგი დღესაც თანდაყოლილი კეთილშობილებითა და შინაგანი კულტურით ხიბლავს ყველას, ვისაც კი ურთიერთობა აქვს მასთან.**

**ლევან ფრუიძე,**
**ირაკლი დვალი.**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი აცხადებს კონკურსს დირექტორის მდივნის თანამდებობის დასაკავებლად 1 საშტატო ერთეულზე**

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. უმაღლესი განათლება;
2. რუსული და ერთ-ერთი ევროპული ენის სრულყოფილი ცოდნა;
3. კომპიუტერული პროგრამებით (Microsoft Office, MS Windows), ინტერნეტის ქსელით და ელექტრონული ფოსტით სარგებლობის უნარ-ჩვევები.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება დირექტორის სახელზე;
ბ) ავტობიოგრაფია (CV);
გ) დიპლომი უმაღლესი განათლების შესახებ;
დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ე) შრომის წიგნაკი (იმ შემთხვევაში, თუ მუშაობდა);
ვ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;
ზ) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის შესახებ.

საბუთების მიღება იწარმოებს 2005 წლის 27 მაისის ჩათვლით 16 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) მისამართზე: საბურთალო, ჯიქიას 10, II სართული. კანცელარია.

**ადმინისტრაცია.**

**2005 წლის 31 მაისს დღის 18 საათზე ჩატარდება სს „რაშის“ (მდ. თემქის დასახლება მე-3 მ/რ მე-5 კვ.) აქციონერთა მორიგი საერთო კრება**

**დღის წესრიგი:**

1. 2004 წლის წლიური ანგარიში
ა) წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად.
ბ) ანგარიშის დამტკიცება.
2. 2005 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2005 წლის 25 აპრილი.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად აქციონერებმა თან უნდა იქონიონ პირადობის მოწმობა.

**დირექცია.**

# განცხადება

**სს „ფეიქარი-95“-ის აქციონერთა განმეორებითი კრების მოწვევის შესახებ.**

იმასთან დაკავშირებით, რომ 05.05 2005 წლის აქციონერთა კრება კვორუმის არარსებობის გამო, ნაწილობრივ ჩაიშალა და ვერ დამთავრდა, 2005 წლის 31 მაისს 16 საათზე, თბილისში, მ. ლაღიძის № 21-ში ადმინისტრაციულ შენობაში ტარდება სს „ფეიქარი-95“-ის აქციონერთა განმეორებითი კრება.

**დღის წესრიგი:**

1. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
2. სხვადასხვა.

აქციონერთა სააღრიცხვო თარიღია 2005 წლის 1 მაისი. დირექციისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებია: აქციონერებმა აირჩიონ სამეთვალყურეო საბჭო, აქციონერებს თავისი უფლებების შემოწმება შეუძლიათ თბილისი, დავით აღმაშენებლის 153-ში მდებარე რეგისტრატორთან.

**დირექცია.**

**დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!**

ა. წ. 4 მაისიდან შპს „საქართველოს რკინიგზა“ საკუთარ ვებ-გვერდზე (HTTP://WWW.RAILWAY.GE „ტენდერები“), აქვეყნებს საკონკურსო წესით შესასყიდი პროდუქციის ნუსხას.

შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ინფორმაცია გთხოვთ, მოიძიოთ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

**საქართველო, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15.**
**შპს „საქართველოს რკინიგზა“, შესყიდვების სააგენტო.**

**2005 წლის 5 აპრილის მდგომარეობით მიმდინარეობს შპს „სარკინიგზო დაზღვევის“ ლიკვიდაცია.**

კრედიტორებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა, დამადასტურებელი დოკუმენტებით, ერთი თვის ვადაში მოგვმართონ მისამართზე: თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15, ტელ: 56-65-14; 56-65-18.

**შპს „სარკინიგზო დაზღვევის“ დირექტორი.**

◎ ეროვნული ჩემპიონატი

# ახლა ქალების ჯერია



ნინო ხურციძე

**ამას წინათ თბილისის ჭადრაკის სასახლეში, როგორც გაუწყეთ, დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც ახალგაზრდა დიდოსტატმა ვალერიან გაფრინდაშვილმა მოიგო. მეორე-მესამე ადგილებზე ერთნაირი ქულებით ლევან ფანცულაია და მიხეილ მჭედლიშვილი გავიდნენ. ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად მათ ოთხტურიანი მატჩი ითამაშეს. 2,5:0,5 გაიმარჯვა მჭედლიშვილმა და ევროპის გუნდურ ჩემპიონატშიც ის ითამაშებს.**

ამჟამად სასახლეში მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატი მიმდინარეობს. სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 14 წარმომადგენელი იბრძვის ჩემპიონობისთვის. ხუთი ტურის შემდეგ 4 ქულით დიდოსტატი ნინო ხურციძე ლიდერობს. მას ნახევარი ქულით ნინო ბაციაშვილი ჩამორჩება. 3-3 ქულა მოაგროვეს ინგა ჭარხალაშვილმა, თამარ წერეთელმა და სოფიკო ხუხაშვილმა. შემდეგ მოდიან: ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, ანა მათნაძე, ლელა ჯავახიშვილი, ქეთევან არახამია-გრანტი, ნინო გურიელი – 2,5 (თითოეულს), ანა გავაშელი – 2, სალომე მელია – 1,5; სოფიკო ტერელაძე – 0 ქულა.

გუშინ მოჭადრაკეები ისვენებდნენ. დღეს VI ტურში ითამაშებენ: გურიელი – ტერელაძე, ბაციაშვილი – ლომინეიშვილი, ძაგნიძე – წერეთელი, მათნაძე – არახამია, ჯავახიშვილი – ჭარხალაშვილი, გავაშელი – მელია, ხუხაშვილი – ხურციძე.

**ლექსო ცინცაძე.**

◎ ძალოსნობა

# „ფოლადის“ ფიცარნაგზე



**რუსთავის ბავშვთა და მოზარდთა № 1 კომპლექსური სასპორტო სკოლის (დირექტორი თენგიზ ჭანტურია) ინიციატივით „ფოლადის“ ფიცარნაგზე ცნობილი ქართველი ძალოსნის – სანდრო გოგოლაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა. მეტალურგთა ქალაქში 80-მდე ათლეტმა მოიყარა თავი. საერთო გუნდურ ჩათვლაში თბილისელებმა გაიმარჯვეს. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ჩაქველები და რუსთაველები გავიდნენ.**

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველები იყვნენ რომან სარქისიანი, აკოფ ბაზეიანი (ორივე – თბილისი), გოდერძი ზოიძე (ჩაქვი), ნუგზარ ჯინჭარაძე (აჭარა), სულხან დუმბაძე (ჩაქვი), გენადი ჩიქოვანი (რუსთავი), ნუკრი ვაშაკიძე (აფხაზეთი), ირაკლი თურმანიძე (ჩაქვი), ნუგზარ ხუზაურაშვილი (თბილისი).

გამარჯვებულები და პრიზიორები სანდრო გოგოლაურის ვაჟმა – ქვემო ქართლის პროკურორმა ჯონი გოგოლაურმა დააჯილდოვა.

**შოთა ძორიძე.**

◎ ძიუდო

# ორი „ოქრო“ კიევიდან

**უკრაინის დედაქალაქში დამთავრდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ათლეტებიც მონაწილეობდნენ.** ალექსანდრე მაისურაძემ (90 კგ.) და ადამ ოქრუაშვილმა (მძიმე წონა) ყველა მეტოქე დაამარცხეს და ოქროს მედლები მოიპოვეს. დავით ასუმბანი (66 კგ.), თამაზ მუთოშვილი (81 კგ.) და ნოდარ მეტრეველი (100 კგ.) მეხუთე ადგილებზე გავიდნენ.

◎ აღმოსავლური ორთაბრძოლები

# წარმატება – პროფესიულ რინგზეც

**ტაილანდური კრივი და კიკბოქსინგი პოპულარულია მსოფლიოში. ამის დასტურია თუნდაც ის გრანდიოზული შეჯიბრებები, რომლებიც “K1”, “WKN”-ისა და “Super league”-ს ეგიდით იმართება. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას (“WKN-ის ეგიდით) ამას წინათ თბილისმაც უმასპინძლა. მონაწილეობდნენ ქართველი, გერმანელი, ბელგიელი, რუმინელი, ინგლისელი, ჰოლანდიელი და აზერბაიჯანელი მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენები. ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი გოჩა ჯავახია), გასართობი ცენტრი „არაგვი“ და „სანო სტუდია“. ასპარეზობა დააფინანსეს კომპანია „კოლოსოვმა“, „კაპაროლმა“, „კარლსბერგმა“ და სასტუმრო „ძველმა მეტეხმა“. შეჯიბრებას ესწრებოდა კიკბოქსინგის საერთაშორისო ორგანიზაციის თავკაცი სტეფან კაბრერა, თბილისური ორთაბრძოლები „ევროსპორტსმაც“ აჩვენა.**

მოყვარულთა შორის ხუთივე შეხვედრა ქართველებმა მოიგეს. ბავშვებში სარეიტინგო პაექრობა ცოტნე სამუშიას გამარჯვებით დასრულდა. ასევე წარმატებას მიაღწიეს კიკბოქსინგში თბილისელმა არმენ აზიზიანმა, ხოლო ტაილანდურ კრივში – ზურაბ ბესიაშვილმა და ელენე ბოლაშვილმა.

კიკბოქსინგში პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ქამარი მოიპოვა დათო ჯავახიამ, რომელმაც გერმანელი დიმა ვაიმარი დაჯაბნა, ტაილანდურ კრივში კი მსგავსი ქამრის მფლობელი გახდა შალვა ავთანდილაშვილი მას შემდეგ, რაც ბელგიელი ლორენ პერიკესი დაამარცხა. ამ გამარჯვებებით ჩვენებურებმა პროფესიონალებში მსოფლიო ჩემპიონატის ლიცენზია დაიმსახურეს.

**ეკა ტუკვაძე.**

◎ ხელბურთი

# არც ერთი ნაბიჯი უკან

**ყველა მოგება – ასეთი შედეგით დაამთავრა თბილისის „მართვემ“ საქართველოს ხელბურთელ ქალთა ეროვნული ჩემპიონატი, რომლის მეორე დასკვნითი ტურს ქუთაისმა უმასპინძლა. ბოლო შეხვედრა დედაქალაქელებმა რიონისპირელებს მოუგეს და პირველი ადგილი დაიკავეს. ვერცხლის მედლები ფოთელებს ხვდათ, რომლებმაც წყალტუბოელები დაამარცხეს. მესამე ადგილზე ქუთაისელები გავიდნენ.**

წლეულს ზაფხულს საქართველოს ხელბურთელ ქალთა ნაკრები ორ საწვრთნელ შეკრებას გაივლის, გამართავს ამხანაგურ შეხვედრებს, შემოდგომით კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება.

◎ ფარიკაობა

# მუშკეტერები ემზადებიან



**თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთისა და რუსთავის მოფარიკავეები მონაწილეობდნენ დედაქალაქის სამდღიან ღია ტურნირში, რომელიც დსთ-ს და ბალტიისპირეთის ქვეყნების ჭაბუკთა თამაშებისთვის მზადებას მიეძღვნა.** დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ თბილისელები – მადონა ჩაბრაძე და გიორგი გრიგოლია (რაპირა), ნიკა ბასხოლიანი (ხმალი), ნატო ხრიკინა და ანზორ ალბრეხტი (დაშნა).

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ.

**შალვა ქათამაძე.**

◎ ჩვენებურები

# 16 წლის დიდოსტატი



**რამდენიმე წლის წინათ ყმაწვილი დათო ბარამიძე ჭადრაკის სასახლეში არჩილ ქარქაშაშვილთან, ხოლო მოსწავლე ახალგაზრდობის ჭადრაკის სკოლაში ვლადიმერ ურიდიასთან რომ მეცადინეობდა, ძნელი წარმოსადგენი იყო, ასე მოკლე ხანში თუ იგი დიდოსტატი გახდებოდა.**

დათო ბარამიძე 16 წლისაა და გერმანიის ყველაზე პრესტიჟულ ჭაბუკ მოჭადრაკედ ითვლება. შარშან მან დიდოსტატის წოდება მოიპოვა. თუმცა, ეს მსოფლიო რეკორდი არ გახლავთ, ჩვენ შეგვიძლია არაერთი საერთაშორისო ტურნირის დასახელება, სადაც ქართველმა მოჭადრაკემ შესანიშნავად ითამაშა, რა თქმა უნდა, პირად კოეფიციენტსაც (2500) აქვს დიდი მნიშვნელობა.

ეს-ეს არის გავეცანით გერმანული საჭადრაკო ჟურნალების „შახ მაგაზინ 64“-ისა და „როხადეს“ ახალ ნომრებს, ორივე ეს ავტორიტეტული გამოცემა დათოს თამაშს სათანადო ყურადღებას უთმობს, ბეჭდავს მის პარტიებს. ძალიან საინტერესოა დათოს პარტია 16-წლამდელთა შარშანდელ მსოფლიო პირველობაში გამარჯვებულ მაქსიმ როდშტაინთან (ისრაელი). დათომ ამ შეჯიბრებაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

სად ითამაშებს წლეულს დავით ბარამიძე? – ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე, საერთაშორისო ტურნირებში. ამავე დროს იგი იმათ რიცხვშიც შედის, ვინც მორიგი საერთაშორისო ოლიმპიადისთვის უნდა ემზადოს.

**გივი თორელი.**

◎ სპორტულ ორბიტაზე

## ყველაზე გრძელი მატჩი



**რომში დამთავრდა დიდი საჩოგბურთო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 2 მილიონ 82 ათას 500 ევრო იყო. მასში 64 უძლიერესი ჩოგბურთელი მონაწილეობდა. ფინალამდე არგენტინელმა გილერმო კორიამ და ესპანელმა რაფაელ ნადალიმ მიაღწიეს. პირველმა ნახევარფინალში ძლევამოსილი ვეტერანი აგასი დაამარცხა – 7:5, 7:6 (7:0), მეორემ კი თანამემამულე ფერერი – 4:6, 6:4, 7:5.**

მათი ფინალური ორთაბრძოლა ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა ATP-ს ისტორიაში (1990 წლიდან) – ის 5 საათსა და 14 წუთს გაგრძელდა და ესპანელის გამარჯვებით დამთავრდა – 6:4, 3:6, 6:3, 4:6, 7:6.

ამ გამარჯვებით ნადალი გახდა პირველი ჩოგბურთელი, ვინც ერთ სეზონში სულ ცოტა 5 ტურნირი მოიგო (რეკორდი – 9 ტიტული – 1983 წლიდან ეკუთვნის შვედ მატს ვილანდერს). თანაც წლეულს მოგებული მატჩებით (41-6) მან გადაუსწრო პლანეტის ახლანდელ პირველ ჩოგანოსანს, შვეიცარიელ როჯერ ფედერერს (35-2).

## ოლიმპიელი – ნარკოკურიერი

**როგორც მოლდავეთის პრესა იტყობინება, რუმინეთისა და ბულგარეთის საზღვარზე საბაჟო პუნქტ ნეგრუ ვოდაში დააკავეს წარსულში ცნობილი რუმინელი მოჭიდავე, სამი ოლიმპიადის მონაწილე, აგრეთვე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, 38 წლის ენდერ მემეტი. მის ავტომანქანაში ABO 10 აღმოაჩინეს 14,5 კილოგრამი ჰეროინი. რუმინეთის პოლიციის აზრით, ბარსელონის, ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიადების მონაწილე ბერძნულ-რომაული მოჭიდავე იმ დამნაშავეთა ჯგუფის წევრია, ნარკოტიკები თურქეთიდან რუმინეთში, ხოლო შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რომ გადაჰქონდა.**

მებაჟეთა შეფასებით, მემეტის მანქანაში აღმოჩენილი ნარკოტიკების ღირებულება 200 ათას ევროს აღემატება. ამბობენ, რომ ცნობილმა სპორტსმენმა, კარიერის დამთავრების



შემდეგ სამუშაო ვერ იშოვა და რათა დიდი ფული ეშოვნა, ძალზე სახიფათო, მაგრამ შემოსავლიან საქმეს – ნარკოტიკების გადაზიდვას მიჰყო ხელი.

## პირუტყვი 100 დოლარად

**ფეხბურთელისთვის ძალზე უჩვეულო ზედმეტი სახელი აქვს ბრაზილიელ ედმუნდოს – პირუტყვი. 34 წლის ედმუნდომ უკვე მოასწრო ბრაზილიის ნაკრებშიც და „ვასკუ დე გამაში“, „პალმეირასში“ და იტალიურ „ფიორენტინაში“ თამაში. ის ბრაზილიის სამგზის ჩემპიონია და ყოველ ნაბიჯზე აცხადებს, რომ რონალდოსა და რომარიოზე უკეთესად თამაშობს.**

ახლა ის დათანხმდა, რომ 100 დოლარად ითამაშოს რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონატის B სერიაში, რადგან, თითქოსდა მოსწონს საზოგადოებრივ საწყისებზე თამაში.

ზედმეტი სახელი კი თავისი სკანდალური საქციელისთვის მიიღო. ყველაზე დიდი ცოდვა 1995 წლის ბოლოს ჩაიდინა. მის მიერ პროვოცირებულ ავტოკატასტროფაში სამი ადამიანი დაიღუპა, სამიც მძიმედ დაშავდა.

## მოღალატე ტოტი

**თავისი სასიყვარულო თავგადასავლებით სახელგანთქმული, „რომასა“ და იტალიის ნაკრების თავდამსხმელი ფრანჩესკო ტოტი ისევ მოხვდა პიკანტურ სიტუაციაში. იმ დროს, როცა საცოლეზე – ფოტომოდელ ილარი ბლაზიზე ქორწილისთვის ემზადება, ხელიდან არ უშვებს სხვებთან გარშიყებისა თუ დროსტარების შესაძლებლობასაც.**

ამბობენ, რომ გასულ კვირას მან მშვენიერი დრო გაატარა თავისი საცოლის მეგობართან, მეორე იტალიელ ფოტომოდელთან – ფლავიან ვენტოსთან. ისე რომ, მის საწოლშიც კი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ტოტი და ბლაზი უკვე დანიშნულნი არიან, ქორწილი კი 25 ივნისს, 17 საათზე უნდა გაიმართოს.

უფრო მეტიც, ბლაზი უკვე ბავშვს ელოდებაო.



◎ ჭადრაკი ოთხშაბათობით

# მოგება ლაზიერის შეწირვით

**რიგელმა საჭადრაკო კომპოზიტორმა ა. დომბროვსკისმა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედება იალბუზის მწვერვალს შეადარა. ყველა, ვინც ამ ბრძენთა თამაშის სრულყოფილებისაკენ მიისწრაფვის, კარგად იცნობს ქართული საჭადრაკო სკოლის საეტიუდო კომპოზიციის წარმომადგენლებს, რომლებიც წარმატებით თანამშრომლობენ სხვადასხვა ქვეყნის კოლეგებთან.**

**დღეისთვის თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ეტიუდების შედგენაში ორგზის მსოფლიო ჩემპიონის, საერთაშორისო დიდოსტატის – დავით გურგენიძისა და საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო ოსტატის ლეოპოლდ მიტროფანოვის (1932-1992 წ.წ.) ეტიუდზე.**

**– მიტროფანოვთან თბილი და მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა. მასთან ერთად ათზე მეტი კოლექტიური ეტიუდი მაქვს შედგენილი, – ამბობს ქართველი დიდოსტატი.**

**ლ. მიტროფანოვმა გამოაქვეყნა 300-ზე მეტი ეტიუდი. მისმა ყველაზე პოპულარულმა ეტიუდმა პირველი პრიზი მოიპოვა 1967 წელს საქართველოში გამართულ დიდ საერთაშორისო კონკურსში „რუსთაველი – 800“.**

**თამაზ შენგელია.**

**დ. გურგენიძე**
**ლ. მიტროფანოვი**
1985



**ლაზიერის შეწირვის შედეგად შავები დანებდნენ:**

**1. მf7+მფg8 2. მe5+მფh8 3. კc2 მფg8 4. ლd5+მფh8 5. მf7!+მფg8 6. მh6+!მფh8 7. ლg8+!! ე:g8 8. მf7X. 3. თუ ... ეh6 4. ლh7+! ე:h8 5. მg6+მფg8 6. კb3X.**

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



თელავის თეატრის გახსნაზე (1981 წელი). მარცხნიდან: დალი აბაშიძე, ივანე ბექუაშვილი, თინა ქუთათელაძე, ლილი იორდანიშვილი, რევაზ ტყემალაძე, ციალა გოგოძე.

მოგვაწოდა რევაზ ტყემალაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

შეფასება

# საქართველო რუსეთის ამბიციების მსხვერპლი არ უნდა გახდეს

**მიხეილ ნანეიშვილი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია:**

– ბუშის ვიზიტმა, შეიძლება ითქვას, კარგად ჩაიარა. თუმცა ამ მოვლენის გადაჭარბებული შეფასება არ შეიძლება. მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო მეთაურის ჩამოსვლით განსაკუთრებული ყურადღების დემონსტრირება მოულოდნელი არ ყოფილა – ამერიკის პოლიტიკაში საქართველომ მანამდეც დაიმკვიდრა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური პარტნიორის მნიშვნელობა.

ამერიკის პოლიტიკა დინამიურია იმ რეგიონში, სადაც საქართველოც მოიაზრება. ეს არის თავად რუსეთისთვის სიგნალი: – ამერიკა არ დაუშვებს, რომ საქართველო რუსეთის ამბიციების ობიექტი და მსხვერპლი გახდეს.

ვფიქრობ, ჯორჯ ბუში საქართველოში საქართველოსთვის ჩამოვიდა. იგი საქართველოს სახით იმ ქვეყანას ხედავს, რომელსაც ამერიკამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს. ამის ცხადი დემონსტრირება ჩვენს თვალწინ მოხდა.

**შალვა ფიჩხაძე, პოლიტოლოგი:**

– ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტი უდიდესი მორალური მხარდაჭერაა ქვეყნისთვის. რაც შეეხება რეალურ მხარდაჭერას, გნებავთ კონფლიქტების მოწესრიგებას, რუსეთთან ურთიერთობის გარკვევას ან ფინანსურ თუ სხვა სახის დახმარებას, ამას დრო გვიჩვენებს.

ის, რომ ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ამას ადრეც ამბობდნენ, ამბობდნენ იმასაც, რუსეთის ბაზების გაყვანაში თქვენს გვერდით ვართ, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობა თავად მოაგვარეთო. ნატოში გასაწევრებლადაც თანადგომა აღგვითქვეს და რახანია ხელს გვიწყობენ. ასე რომ, ამ საკითხებზე უწინაც ლაპარაკობდნენ.

კიდევ ერთ ასპექტზე გავამახვილებ ყურადღებას: თბილისში ჩამოსულმა ბუშმა თქვა, რომ კავკასიის და ცენტრალური აზიის ხალხები განთავისუფლდებიანო, ოღონდ – ვისგან, არ დაუკონკრეტებია. ალბათ, იგი ამ ქვეყნებში რეჟიმების ცვლილებას გულისხმობდა.

მართალია, რამდენიმე ქვეყანაში დიქტატორული ან დიქტატურის მსგავსი რეჟიმია, მაგრამ ვინ განთავისუფლდება და ვინ – არა, ეს ცოტა ძნელი გასარკვევია.

ბუშის ვიზიტის მორალური და ემოციური მუხტი ძლიერი იყო, მორალური ასპექტის თვალსაზრისით ეს უთუოდ დიდი გარღვევაა. ბუშის წყალობით, საქართველოს ხელისუფლებამ ყურადღება მიიპყრო. დრო გვიჩვენებს, როგორ გამოიყენებს იგი ამ თანადგომას. იმედია, საქართველოს ხელისუფლება ამას გამოიყენებს არა საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად, არამედ დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებისათვის.

**ელდარ შენგელაია, კინორეჟისორი, პარლამენტარი:**

– ბუშის ვიზიტი საქართველოსთვის უდავოდ დიდი მოვლენაა. მართალია, მანამდეც ამერიკა ჩვენი ქვეყნის მიმართ თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა ლიდერების, კონგრესმენების განცხადებებით, თუნდაც პრესის საშუალებით, მაგრამ პრეზიდენტის ვიზიტი მაინც ბევრს ნიშნავს – ეს იყო მთელი მსოფლიოსთვის დასანახი პოლიტიკური აქტი. ამ მხრივ, ჩნდება იმედი, რომ ის პრობლემები, რომლებიც გვაწუხებს, მალე გადაწყდება. თუმცა აქვე დავძენ, რომ ბევრი რამ თავად ჩვენზეა დამოკიდებული: რამდენად შევძლებთ დემოკრატიული პროცესების გაღრმავებას, მშვიდობიანი ფორმატის ფარგლებში მოლაპარაკებების წარმართვას აფხაზებთან და ოსებთან, ქვეყნის შიგნით არსებული დაძაბულობის აღმოფხვრას, რომელიც საბოლოოდ მაინც ჩვენი მოსაგვარებელია.

ვფიქრობ, ცოტას ვსაუბრობთ საბაზრო ეკონომიკაზე, რომელიც დემოკრატიის საფუძველია. საბაზრო ეკონომიკამ დაბადა დემოკრატია. ჩვენ კი რატომღაც დემოკრატიაზე და თავისუფლებაზე საუბრისას, სწორედ ეს გვავიწყდება. არადა, დასტა კანონებისა თუ განცხადებებისა, რეფორმების განხორციელება მხოლოდ განვითარებული საბაზრო ეკონომიკითაა შესაძლებელი.

ასევე, ბევრია გასაკეთებელი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ რაღაც გარკვეული წინსვლა შეიმჩნევა, მაგრამ ყოველგვარი თვითკმაყოფილება დამღუპველია.

თუ ჩვენ დემოკრატიისა და თავისუფლების გზას დავადექით, ამ ორ ასპექტზე განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

**ჩაიწერა თამარ შაიშმელაშვილმა.**

## ჩვენთვის დიდი ბიძგია

აშშ პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საქართველოში სტუმრობა, ვფიქრობ, დემოკრატიის შემდგომ განვითარებასთან ერთად, დიდად წაადგება ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას. მომეწონა, რომ მან თავის გამოსვლაში სწორედ ეკონომიკის განვითარებისა და მცირე ბიზნესის წინ წამოწევის აუცილებლობა გამოკვეთა.

ბოლო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტი სულ უფრო მეტად ზრუნავს ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად, რაც მისასალმებელია. რა თქმა უნდა, წლების განმავლობაში გაჩანაგებული ეკონომიკა ინვესტიციების მოუზიდავად ფეხზე ვერ დადგება. ამიტომაც ამ მიმართულებით ნიშანდობლივია ჩვენი ქვეყნისადმი ამერიკის მხარდაჭერა.

ბუნებრივია, აშშ პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში, რომელმაც წარმატებით ჩაიარა, ახალ პერსპექტივებს შეუქმნის ქვეყანას ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის. მალე საქართველო ცნობილი უცხოური კორპორაციებისა და ბიზნესმენების ყურადღების ცენტრში მოექცევა, რაც ჩვენთვის დიდი სტიმულია.

**ლელა კალანდარიშვილი,**
**კომპანია „ბიოფარმის“ დირექტორი.**

გიხაროდეს!

# ბებიამ ლეჩაქი გადაულოცა

რედაქციაში ინჟინერი ვახტანგ ცოფურაშვილი გვესტუმრა.

– ოჯახის სიხარული მსურს გაგიზიაროთ, – გვითხრა მან, – ჩემს ვაჟიშვილს ანზორს და მის მეუღლეს თინას პირველი შვილი შეეძინათ. გოგონას თამარი დაარქვეს. თინამ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში იმშობიარა. აქ მართლმადიდებელ ქრისტიანებს საკუთარი სამშობიარო სახლი აქვთ და მშობიარობა უფასოა.



ჩემს ოჯახში მეზობლების და ახლობლების თანდასწრებით დაილია გოგონას სადღეგრძელო. გახარებულმა ნაილი ბებიამ (სუხიშვილების ყოფილი მოცეკვავეა) შვილიშვილს თავისი ლეჩაქი გადაულოცა. ჩვენი ყველას სურვილია: თამარს მუდამ ღირსეულად ეტარებინოს ქართველი ქალის ლეჩაქი.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...



სამენ რუსი, უკრაინელი და ებრაელი.

– ყველა ხახოლს სულიც გაძვრომოდეს, – თქვა სადღეგრძელო რუსმა.

დალიეს.

– ყველა რუსი საიქიოში მენახოს, – ასწია ჭიქა ხახოლმა.

– დალიეს.

– ნათქვამს გაუმარჯოს, – გადაყლურწა არაყი ებრაელმა.

* * *

– ქალბატონო ცუკერმან, – თქვენმა აბრამმა გუშინ როზა გააუპატიურა.

– როგორ, გუშინ? შაბათს?!

* * *

– იქნებ რაიმე უალკოჰოლო მომიტანოთ, – უხალისოდ ეუბნება კლიენტი ოფიციანტს.

– რას ინებებთ, ლიმონათს, წვენს, კოკა-კოლას თუ მინერალურ წყალს?

– სულერთია, – ამოიოხრა კლიენტმა, – ამ საქმეში ახალბედა ვარ.

* * *

– აი, მოდის ქალი, რომელიც მიყვარს.

– მერე ცოლად რატომ არ ითხოვ?

– ამის უფლებას საკუთარ თავს ვერ მივცემ, იგი ჩემი საუკეთესო პაციენტია.

* * *

მიხო საგადასახადო ინსპექციაში შევიდა.

– რა გნებავთ? – ეკითხებიან.

– არაფერი. უბრალოდ მსურს, თვალი შევავლო იმ ადამიანებს, ვისთვისაც ვმუშაობ.



ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი მსოფლიოში არის ზინედინ ზიდანი. 2001 წელს ფრანგი მოთამაშე, 68,7 მილიონ ევროდ გადავიდა „იუვენტუსიდან“ მადრიდის „რეალში“.

* * *

პიტერ პაულ რუბენსის ტილო „ყრმათა მოსრვა“, 2002 წელს აუქციონზე 73,5 მილიონ ევროდ გაიყიდა.

* * *

მაიკლ ბლუმბერგმა, რომელიც 2001 წელს ნიუ-იორკის მერობაზე იყრიდა კენჭს, 744757 ამომრჩეველს, ვინც მის სასარგებლოდ მისცა ხმა, თითოს 86,10 ევრო გადაუხადა.

თბილისური ესკიზები

# ფაეტონით და ცხენებით...

**მეტრო „ნაძალადევიდან“ რომ ამოვედით მე და ჩემი მეგობარი, მოპირდაპირე მხარეს, ჩვენდა გასაკვირად, ფაეტონი შევნიშნეთ. ქუჩის პირას იდგა, მომცრო, მაგრამ კოხტა ეტლი.**

**– ბუბა კიკაბიძეს რომ ჰკითხო, ტირის – „არც ფაეტონი და აღარც ცხენებიო“. აბა, ეს რა არის? – ღიმილით ვეკითხები მეგობარს.**

მართლაც და, რამდენი ხანია, ქალაქში ეტლი აღარ შემინიშნავს.

დავინტერესდით, ქუჩა გადავჭერით, ეტლთან მოფუსფუსე საშუალო ტანის შავგვრემან ახალგაზრდას შევეკითხე.

– შენია?

– კი, უფრო სწორედ, ჩვენია!

– შენი სახელი?

– გიორგი.

– ცხენების?

– ეს ყაბარდოული ჯიშისაა, „საბა“ ჰქვია. მეორე კი „ბებეა“.

– ჩვენიაო, რომ თქვით, ვის გულისხმობ „ჩვენში?“

– აი, აქ, სარდაფში, პატარა რესტორანი გავხსენით, „კახეთი“ ჰქვია, ჩამობრძანდით, დაათვალიერეთ.

კიბეებს ჩავუყევით. რამდენიმე ოთახი, მარანი, პატარა აუზი მოლივლივე თევზებით და, რაც იშვიათობაა მსგავს დაწესებულებებში, კარგა მოზრდილი მსხვილძირიანი ვაზები.

ჭაღარა, სანდომიანი სახის ქალბატონი ღიმილით გვეგებება. გვეცნობა: – სესილი გვაზავა. – ოფიციალურად სააღდგომოდ გავხსენით ჩვენი პატარა სარდაფს.

მერე გეგმებს გვაცნობს.

– შევეცდებით, ჩვენ სტუმრებს გემოვნებიანი და მონატრებული კერძები შევთავაზოთ: მწვადი წალამზე, სოკო კეცზე შემწვარი. აი, ამ ქვის კეცზე კი ხაჭაპურს, მჭადს, თევზს შევუწვავთ. ალბათ, თევზეულიდან მარტო კალმახი გვექნება. ახლაც, ამ აუზში მარტო კალმახი გვყავს.





მსურველებს სახლში მიტანითაც მოვემსახურებით, სასურველ კერძებს მივართმევთ თავიანთი დაკვეთის მიხედვით. როგორც ნებავთ, გინდ ფაეტონით და გინდ მანქანით. აქ მოსულ სტუმრებსაც თავიანთი სურვილის მიხედვით, ორივე ტრანსპორტით მოვემსახურებით.

– ფაეტონს მეარღნეც უხდება, – ჩავურთეთ.

– კი, ბატონო, რასაკვირველია. ჩვენი გიორგი არღანსაც შესანიშნავად ამღერებს.

– ზაფხულში აქ ალბათ, სტუმარი მთლად ლაღად ვერ იგრძნობს თავს.

– ბუნებრივია, ამ სარდაფის თავზე კარგა მოზრდილი ეზო გვაქვს, ამჟამად მის კეთილმოწყობასა და გალამაზებაზე ვმუშაობთ.

მერე რამდენიმე ქალი და მამაკაცი გაგვაცნო.

– ესენი ჩვენი თანამშრომლები გახლავან, – გვიხსნის ქალბატონი სესილი, – ყველანი შევეცდებით, არ შევარცხვინოთ აქაურობა.

ეჭვიც არ გვეპარება მათ ნათქვამში. სხვანაირად არც შეიძლება: ეს რესტორანი ხომ ნაძალადევში ცნობილ სტუმართმოყვარე მგალობლიშვილების ოჯახშია გახსნილი.

... რომ გითხრათ, „მშრალად“ დავტოვეთ იქაურობა-მეთქი, გულწრფელი არ ვიქნები: თბილისური წეს-ჩვეულების მიხედვით, რამდენიმე ჭიქა ღვინით დავლოცეთ მასპინძლები, ბარაქა და უხვსტუმრიანობა ვუსურვეთ.

**გურამ გომართელი.**

გივი ჯოლბორდის ფოტო.

სტიქია

# როცა ბუნება გვიტევს

ყოველწლიურად სტიქია მსოფლიო ეკონომიკას 30 მილიარდი დოლარის ზარალს აყენებს: 20 მილიარდი – წმინდა ზარალია, ხოლო 10 მილიარდი იხარჯება სტიქიურ უბედურებათა პროგონოზირებასა და მათი შემოტევის შედეგების შესამსუბუქებლად. სპეციალისტების გაანგარიშებით, ყველაზე მეტად კაცობრიობა ზარალობს წყალდიდობებისგან (40 პროცენტი), ტროპიკული ციკლონებისგან (20), აგრეთვე მიწისძვრებისა და გვალვისგან (15-15). გარდა ამისა, დიდი უბედურების მომტანია



ასევე ქარიშხლები, ქარბორბალები, ყინვები, დიდთოვლობა, მეწყერები, ზვავები და სხვ.

თითქმის ნატურიდან

# ოპოზიციონერი

თავისუფლების მოედნისკენ მიმავალმა პროფესორმა ნაცნობ ახალგაზრდას მოჰკრა თვალი.

– მოიცა, მოიცა, შენ გოჩა არა ხარ? ჩემი ნაასპირანტალი? – შეაჩერა მეცნიერმა შემხვედრი.

– ჰო, ისა ვარ, – როგორღაც დაიმორცხვა გოჩამ.

– მერე, შე კარგო ადამიანო, რატომ გაგვექეცი, გემუშავა, დაფასდებოდი, აკადემიკოსი თუ არა, პროფესორი მაინც გახდებოდი.

– პროფესორი თორემ... ვის რად უნდა შენი პროფესორობა, როცა არც ხელფასი გაქვს, არც სტუდენტი გისმენს და არც მთავრობა.

– აბა, რას ამბობ, უნივერსიტეტში როცა მოდიან, კიდევაც გვისმენენ და აზრსაც გვეკითხებიან.

– ეგ ისე, მოსაჩვენებლად, სინამდვილეში გატყუებენ.

– შენ საიდან იცი?

– მაგის მეტი რა ვიცი. ოპოზიციონერი ვარ და სად რა ტყუილი წამოსცდებათ, სულ მისხალ-მისხალ ვაგროვებ.

– არა მგონია, ტყუილი იკადრონ, – შეეჭვდა პროფესორი, – ხომ ნახე ბუშმა ჩვენი პრეზიდენტი როგორ შეაქო, მისაბაძი დემოკრატიაო.

– ბუში სტუმარია და, აბა, რას იტყოდა. ესეც არ იყოს,



თვითონ დემოკრატია და სხვაც დემოკრატი ჰგონია.

– მაშ პუტინი რატომ არ ჰგონია?

– მიშამ გაუხსნა კარტები, თორემ...

– მაშ რას ერჩი, რადგან არაფერს მალავს, ესე იგი ნაღდი დემოკრატია.

– ეგ სხვებთან ურთიერთობაში, თორემ ჩვენთან ნამდვილი დიქტატორია.

– ვინ თქვენთან?

– ოპოზიციასთან. არაფერს გვიჯერებს, ჩვენ ერთს ვამბობთ, ეგ მეორეს აკეთებს.

– რომ დაგიჯეროთ?

– მთლად მასეც არ გვინდა.

– რატომ, კაცო?

– ნათელაშვილი რასაც ამბობს, ყველაფერი თუ შეასრულა, საოპოზიციო აღარაფერი გვექნება.

– ამიტომ, ძამიკო, ენას კბილი უნდა დააჭიროთ. მე მაგის ადგილზე, მაგალითად, ხელფასსაც არ მოგცემდით.

– მერე, ვინ გითხრა, რომ გვაძლევს?

– აბა, უფასოდ აკრიტიკებთ?

– არა, ხელფასს თავად ვინიშნავთ. მე ხომ პარლამენტის წევრი ვარ!

– ჰე ბიჭო, მაგდენი თუ შეგიძლიათ, პაწა პროფესორებსაც გადმოგვიგდეთ, ხომ ხედავთ, შიმშილით ვიხოცებით.

– იჰ, დღეს ვისაც ხელს წამოარტყამ, ყველა პროფესორია, მაგდენი ფული სად არის!

– რა ვიცი, მერიის წინ იმხელა ტრიბუნა რომ მოაწყეთ, არ შეიძლებოდა, ის ფული ჩვენთვის წაგეშველებინათ?

– ა, მაგალითი შენ თვითონ მოიტანე. ამაზე ჩვენც ბევრი ვიხტუნავეთ, მაგრამ ვინ დაგვიჯერა.

– ჰო, ვიცი, ოპოზიციას ფერად-ფერადი ქუჩებიც არ მოეწონა.

– აგაშენა ღმერთმა, ბუში ლატვიაშიც ჩავიდა, ნიდერლანდებშიც და მოსკოვშიც, მაგრამ იქ ერთი შენობაც არ შეუღებიათ.

– შენც ადექი და იმ შენობას შეხედე, რომლის ფერიც მოგწონს.

– არ შემიძლია, დალტონიკი ვარ.

– არც ის დაგინახია, ჩვენი მასპინძლობით აღფრთოვანებულმა ბუშმა როგორ წაიცეკვა?

– არა.

– რატომ, კაცო?

– არ გამოვა, ოპოზიციონერმა თუ თვალი კარგის ყურებას მიაჩვია, მერე ცუდს ვეღარ დაინახავს...

**ოთარ ხუციშვილი.**

აქცია

# ინციდენტით დასრულდა

**რესპუბლიკის მოედანზე „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ აქცია გუშინ ინციდენტით დასრულდა. ნაცემია პარტიის დიდუბის რაიონული ორგანიზაციის კოორდინატორის მოადგილე ზურაბ სიჭინავა.**

**როგორც სიჭინავა აცხადებს, იგი საკუთარ მანქანაში ლეიბორისტული პარტიის დროშებსა და საპროტესტო აქციისთვის დამზადებულ ტრანსფარანტებს ალაგებდა, როცა ათამდე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი მიეჭრა და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.**

**სიჭინავას განცხადებით, „ნაციონალების“ წარმომადგენლებმა მას დროშის ტარებით სცემეს და პერანგი ჩამოახიეს. ინციდენტი სასტუმრო „ივერიის“ მიწისქვეშა კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა, სადაც ლეიბორისტებს ავტომანქანები ჰქონდათ გაჩერებული. მას შემდეგ, რაც აღნიშნული ინციდენტის შესახებ აქციის მონაწილეებმა შეიტყვეს, მათ აქციის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს.**

**დაშლის თხოვნით აქციის მონაწილეებს პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა მიმართა.**

**რესპუბლიკის მოედანზე „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ ორგანიზებით აქცია – „მივესალმებით ბუშს, ძირს დიქტატორი სააკაშვილი!“ იმართებოდა. აქციაზე ათასზე მეტი მოქალაქე იყო შეკრებილი.**

**შალვა ნათელაშვილის მხარდამჭერებს გამოტანილი ჰქონდათ მიხეილ სააკაშვილის კარიკატურები და „ლეიბორისტული პარტიისა“ და ამერიკის შეერთებული შტატების დროშები.**

**ინტერ-პრესი.**

შვილები ოთარ, ზურაბ ქლენტები, რძალი ცირა ლიჩელი, შვილიშვილები ია, გიორგი ქლენტები, სიძე გია კიკვიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, ღვაწლმოსილი ინჟინერი

ედუარდ იორდანეს ძე ქლენტი

პანაშვიდი 10, 11 V, 17 სთ. გამოსვენება – თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. № 5-დან 15 საათზე.

**ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 14 მაისს**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რჯინიშვილის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK